ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

„ვიცი, ნარკოტიკების ლეგალიზაციის მხარდამჭერისთვის ვის აქვს ფული გადახდილი და ვის აქვს აღებული“

ჯონდი ბაღათურია: „რასაც მარგველაშვილი ითხოვს, ეს პრეზიდენტისთვის შეუფერებელი პოზიციაა“

გვ.3



1 თებერვლიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



შაბათი – კვირა, 3 – 4 თებერვალი, 2018 №28 (7573) ფასი: 50 თეთრი

# ვინ უგზავნის ესემესებს „ქართული ოცნების“ დეპუტატებს?!



ემზარ კვიციანი: „ისე წავიდა საქმე, საქართველოში ქართველების დასაცავი მექანიზმია შესამუშავებელი“



გვ.2

## მთავარმა პროკურატურამ მაჩალიკაშვილის ოჯახი ჯერჯერობით უარით გამოისტუმრა

რას არ თანხმდება საგამოძიებო უწყება გვ.4









გვ.5

## „ნარკოტიკის ლეგალიზაცია რომ მოხდეს, ისედაც გაჭირვებული მოსახლეობა მთლად გამოთაყვანდება“

## „პრეზიდენტმა მმართველ ძალას ბირგვლიანის შესწორებებზე ლოგიკური შეთავაზება გაუკეთა“



გვ.3

ეკონომიკა გვ.6

ავტომობილების 22%-მა ტექდათვალიერება ვერ გაიარა





კალაძე: ვმუშაობთ ლალიძის წყლებთან დაკავშირებით

ქართული ოცნების დეპუტატ ისკო დასენის ოჯახს ქონება პირდაპირი მიყიდვით გადაეცა



ISSN 1987-9385

5 ნიკა გილაური: „არც ერთი ეკონომიკური თეორია პრაქტიკაში არ მუშაობს“

4 „საქართველოს ბანკის“ მოგება ერთ წელიწადში 73%-ით გაიზარდა და 372 მილიონი ლარი შეადგინა

5 რატომ ირღვევა ანტირუსული სანქციების კანონი?

4 თბილისის ქუჩებში შიშველი კაცი გამოჩნდა

# ვინ უგზავნის ესემესებს „ქართული ოცნების“ დეპუტატებს?!



## ემზარ კვიციანი: „ისე წავიდა საქმე, საქართველოში ქართველების დასაცავი მექანიზმია შესამუშავებელი“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ ილახება საქართველოში ქართველების უფლებები, რატომ დგას ერი გადაშენების პირას, რა სარგებლობას მოიტანს კონსტიტუციური მონარქია, რისი ეშინია „ქართულ ოცნებას"? – ამის შესახებ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი გვესაუბრება.**

***– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ შეკრება და ქართველების დასაცავი მექანიზმის მიღებაა საჭირო. უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხდება?***

– რაღა რა ხდება, საქართველოში ძალიან მძიმედ არის საქმე. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში საშინლად ილახება ადამიანის უფლებები. ეს ტენდენცია ყოველ წელს სულ უფრო მატულობს და მატულობს.

იმას ალბათ ყველა ამჩნევთ, რომ ფიზიკურად ვნადგურდებით – ფაქტობრივად, გენოციდი გამოგვიცხადა ვიღაცამ.

***– ვინ არის ეს ვიღაცა, ვინც გენოციდი გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობას?***

– ვინ არის, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ სახეზე გვაქვს ერის ამოწყვეტა. გორბაჩოვს ჰყავდა ცოლი – რაისა, რომელიც ქართველებს ვერ იტანდა. ის ხშირად ამბობდა ხოლმე – ხარაშა გრუზია ბეზ გრუზინოვო. ყველაფერი აქეთკენ მიდის – საქართველო მართლა ქართველების გარეშე რჩება. შესაბამისად, რაისა გორბაჩოვას ოცნებაც ასრულდა.

სასწაულად მოიმატა სიკვდილიანობამ – კვირა ისე არ გავა, მინიმუმ 3 გასვენებაში რომ არ მომიხდეს წასვლა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გაწყვეტის გზაზე ვდგავართ.

ერთ რამეს დავაკვირდი და სიკვდილიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი არცერთ სხვა ერში არ არის. არ გეგონოთ, სხვა ქვეყნებს ვგულისხმობდე, საქართველოში მცხოვრები სხვა ერები მყავს მხედველობაში. ასეთი მაღალი სიკვდილიანობა არც სომხებშია, არც აზერბაიჯანელებში და არც რუსებში.

ავიღოთ თუნდაც აფხაზეთი და სამაჩაბლო. ამ რეგიონებში გაცილებით მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ იქაც არ არის სიკვდილიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი. არ

### „რაისა გორბაჩოვას ოცნება აღსრულდა“

ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ძირითადად ეთნიკური ქართველები ვიხოცებით. ისე ვიხოცებით, რომ შობადობის მაჩვენებელს სიკვდილიანობის მაჩვენებელმა აჯობა.

ფეისბუქზე რომ დავწერე, ქართველების დასაცავი მექანიზმია შესამუშავებელი-მეთქი, ეს ფაქტორიც ვიგულისხმე, მაგრამ აქცენტი სხვა რამეზე მქონდა. ერთმა ახალგაზრდამ სოციალურ ქსელში დაწერა, 23-24 წლის ქართველ ბიჭებს 4 წლით პატიმრობა იმიტომ მიუსაჯეს, რომ მათ ზანგებს ხელი გაარტყესო.

ახლა ისე არ გამიგოთ, რომ მე რომელიმე რასის წინააღმდეგი ვიყო ან სხვა ეროვნების წარმომადგენლების ცემა მომწონდეს, მაგრამ უბრალო ხელის გარტყმაზე ახალგაზრდას 4 წლით ციხეში არ უნდა უშვებდე.

იმ ახალგაზრდებს ქართველებივე რომ ეცემათ, დარწმუნებული ვარ, არაფერსაც არ მიუსჯიდნენ. არც ზანგებს დასჯიდნენ, მათ რომ ეცემათ ის ბიჭები. აბა გავიხსენოთ, არაქართველების მიერ ქართველების ცემის რამდენი ფაქტი დაფიქსირდა. გსმენიათ, რომ ამის გამო ვინმე დაესაჯოთ?!

კარგით, ვთქვათ, ცემა არ არის მძიმე დანაშაული, მაგრამ დაჭრა და მკვლელობა ხომ დანაშაულია. უცხოელებს ამასაც პატიობენ. ქართველმა ვინმეს ხელი თუ შემოუბრუნა, ციხეში უშვებენ.

***– გინდათ თქვათ, რომ ქართველების დისკრიმინაციას აქვს ადგილი?***

– დისკრიმინაციაა, აბა რა არის. ავიღოთ თუნდაც თეა სირაძის მაგალითი. ამ ქალბატონმა დამსახურებულად გალახა დამნაშავეები. იმის მაგივრად, რომ ისინი დაეკავებინათ, თეა დააკავეს და მრავალი წლით გაუშვეს ციხეში. ამაზე მეტი დისკრედიტაცია რაღა გინდათ.

იმ ახალგაზრდების 4 წლით დაპატიმრების ამბავი რომ წავიკითხე, ემოციები მომეძალა და ფეისბუქზე ემოციური განცხადება დავწერე. ახლა უფრო დამშვიდებული ვარ, მაგრამ გავიმეორებ, რომ ქართველების დასაცავი მექანიზმი შესამუშავებელია.

***– როგორ აპირებთ ამ მექანიზმის შემუშავებას? საკანონმდებლო ინიციატივის შეტანას აზრი არა აქვს, პარლამენტი ამას მხარს არ დაუჭერს.***

– საკანონმდებლო ინიციატივით შესვლას არც ვაპირებ. ამ საქმეში მთავარია ხალხი. ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

***– თანამედროვე სამყარო ისეა მოწყობილი, რომ გადაწყვეტილებას ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი იღებს.***

– მართალი ხართ, გადაწყვეტილებებს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი იღებს, მაგრამ გვყავს ჩვენ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი? ჩვენ მოცლილები კი არა ვართ, რომ ვითხოვთ, ხელისუფლება ხალხმა უნდა აირჩიოს.

სუსის დაწერილი პროცენტების მიხედვით დაკომპლექტებული პარლამენტი ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს. ეს ათასჯერ მაინც მაქვს ნათქვამი და კიდევ 2.000-ჯერ გავიმეორებ.

დაიმახსოვრეთ, ქვეყანა თავზე დაგვემხობა, თუ სუსი, რომელიც სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს ემსახურება, არჩევნების ჩატარებას გააგრძელებს.

***– თქვენ ამბობთ რომ, არჩევნების შედეგებს სუსი წერს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არცერთ ძალას არ ენდობა და არც არჩევნებზე არ მიდის.***

– ამ ადამიანებისაც კარგად მესმის. ბევრჯერ გაუცრუვდა ხალხს იმედი და ძნელია, მათ ვინმეს ნდობა მოსთხოვო. პარლამენტსა და მთავრობას თუ არ ენდობიან, მაშინ მეფეა საჭირო. ლოდინის დრო აღარ არის – ქვეყანა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას.

***– თქვენ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას ემხრობით?***

– რა თქმა უნდა, ვემხრობი. სხვა თუ არაფერი, ის მონარქი ხომ ქართველი იქნება და ქართულ საქმეს გააკეთებს.

***– ეგრე მთავრობასა და პარლამენტშიც ქართველები გვყავნან, მაგრამ რა ხეირი?***

– ქართული სახელები და გვარები აქვთ, მაგრამ, რამდენად ქართველები არიან, ვერ გეტყვით. როგორ შეიძლება, იმ დეპუტატს ქართველი ვუწოდო, რომელსაც მიაჩნია, რომ ესა თუ ეს კანონი საქართველოსთვის დამღუპველია, მაგრამ მოუვა ესემესი და ამ კანონს ხმას მისცემს.

ქართველობა მხოლოდ გვარსა და სახელში არ არის. ქართველობა საქართველოს სამსახურში ყოფნას ნიშნავს. სულით თუ ქართველი ხარ, იქ სულ არა აქვს მნიშვნელობა, რა გვარი გექნება შენ.

***– თქვენ ძალიან საინტერესო ფაქტი ახსენეთ – დეპუტატებს კანონებთან დაკავშირებით ესემესები მოსდითო. ვისგან მისდით ეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ვინ აძლევს „ოცნების“ დეპუტატებს მითითებებს?***

– ვისგან მისდით, ეგ ნაღდად არ ვიცი, მაგრამ, რომ მისდით, ეგ აშკარაა. ჩემი თანდასწრებით ძალიან ბევრ დეპუტატს მოუვიდა ეს ესემესები. როგორც კი კენჭისყრები იწყება, საქმეში ესემესების კამპანია ერთვება.

***– ამ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში რა წერია?***

– მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში წერია მოკლე ინსტრუქცია, თუ როგორ იმოქმედონ. ამას თავადაც განიცდიან და აღიარებენ, რომ ამ მოწვევის პარლამენტი საქართველოს ისტორიაში ყველაზე უარესია.

***– სად აღიარეს ეს?***

– სად და პარლამენტში. პირად საუბრებში არაერთხელ გამოთქვეს ამის გამო წუხილი.

***– თუ გრძნობენ, რომ ყველაზე უარესი პარლამენტია, რატომ არ ცდილობენ ამის გამოსწორებას?***

– რა უნდა გამოასწორონ? მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. გავიხსენებ შევარდნაძეს. ის დიდი პოლიტიკოსი იყო, გავლენებიც ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს აკეთებდა. ეს პრობლემა ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა.

ამაზე უმრავლესობის წევრებთან არაერთხელ მქონია საუბარი. ერთს ვუთხარი, გააკეთეთ საქვეყნო საქმე და ჩვენც გვერდით დაგიდგებით-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? – ემზარ, საყვარელო, ქალბატონია ეს დეპუტატი და ამიტომ მომმართა ასე, ჩვენ რომ საქვეყნო საქმეების კეთება დავიწყოთ, ძალიან ბევრი პრობლემა შეგვექმნებაო.

***– ვისი ეშინიათ?***

– იმათი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. იმის იმედი რომ მაინც ჰქონდეთ, ხალხის მტკიცე მხარდაჭერა ექნებათ, „ოცნების“ დიდი ნაწილი უარს იტყოდა ანტისახელმწიფოებრივ კანონებზე. ახლა „ოცნების“ დიდი ნაწილი დაშინებულია და ესემესებით ხდება მათი მართვა.

ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდეს. ამაზე სუსი ზრუნავს. მოკლედ რომ გითხრათ, მიმდინარეობს ეროვნული ძალების გამოფატვრა. ამ პროცესს მხოლოდ ხალხი გააჩერებს. ხალხმა ყველაფერს თავისი სახელი თუ არ დაარქვა და არ იმოქმედა, საქართველო მართლა ქართველების გარეშე დარჩება.




## „საქართველოს ბანკის“ მოგება ერთ წელიწადში 73%-ით გაიზარდა და 372 მილიონი ლარი შეადგინა

„კომერსანტი“ საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების ანალიზს იწყებს. ამჯერად გთავაზობთ „საქართველოს ბანკის“ მეოთხე კვარტლის სტატისტიკურ მონაცემებს. კერძოდ, საქართველოს ბანკის წმინდა მოგებამ 2017 წელს 372 მლნ ლარი შეადგინა, რაც 73%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2016 წელს ბანკის მოგება 215 მლნ ლარი იყო.

2017 წელს საქართველოს ბანკმა მხოლოდ 30 მლნ ლარი დაარეზერვა.

ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 10 მლრდ ლარიდან 12 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 9 მლრდ ლარიდან 10 მლრდ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია – 1 მლრდ ლარიდან 1,3 მლრდ ლარამდე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვიცი, ნარკოტიკების ლეგალიზაციის მხარდამჭერისთვის ვის აქვს ფული გადახდილი და ვის აქვს აღებული“

ნონა ცაბაძე

**პრეზიდენტის ინიციატივას, რომ არაძალადობრივ დანაშაულებებთან მიმართებაში შეწყალების წესი იცვლება და ის უფრო ჰუმანური ხდება, საზოგადოებასა და მმართველ გუნდში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ბევრი ფიქრობს, რომ პრეზიდენტიც მათ რიგებშია, ვინც ნარკოდამნაშავეებს ლობირებს. „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტის ინიციატივას ეხმაურება.**

***— ბატონო ჯონდი, პრეზიდენტის ინიციატივას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. თქვენ როგორ გაიგეთ პრეზიდენტის ინიციატივა?***

— შესაძლოა პრეზიდენტმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, ამ ნიშნებს ის დიდი ხანია ამჟღავნებს. ამის უფლება მას აქვს, მაგრამ პრეზიდენტის პოზიცია ნარკოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით არის აბსოლუტურად არაკვალიფიციური და დანაშაულებრივი.

დანაშაულია, როდესაც ითხოვ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, გავრცელების, მისი დამზადება-წარმოების, ტრანზიტის, ექსპორტის და იმპორტის ლეგალიზაციას! სამწუხაროა, რომ დღეს ამ პროცესს ნარკომომხმარებელთან ერთად ლობირებს პარლამენტის ერთი ჯგუფი და თვითონ პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია.

***— საუბარია, რომ ახალი კანონპროექტით ნარკოტიკის გავრცელება, წარმოება მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლება. ასეა?***

— სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში შედის ცვლილებები, ეს არის მუხლი, რომელიც ეხება ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას, დამზადებას, წარმოებას.

მისი პირველი ნაწილი სრულად ათავისუფლებს მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში საპატიმრო ღონისძიებისგან ადამიანს და მეორე ნაწილი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ტიპის ნარკოტიკული საშუალების შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას, დამზადებას, წარმოებას, ანუ პატარა მინი ფაბრიკის შექმნას, თანაც დიდი ოდენობით, ჯგუფურად, როცა თანამდებობის გამოყენება ხდება ბოროტად და არაერთგზის, 260-ე მუხლის მეორე ნაწილიც ათავისუფლებს საპატიმრო ღონისძიებებისაგან და შემოიფარგლება ფულადი ჯარიმით და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით. და ჯარიმა რამდენია? რამდენი და 100 ლარი. სად არის აქ მომხმარებლის ინტერესი? ეს ყველაფერი არის წამლის ბარიგებისთვის!

***— საზოგადოების ერთი ნაწილი აქტიურია, უკიჟინებს ხელისუფლებას, აქციებს მართავს. ფიქრობთ, რომ მათ სერიოზული მფარველები ჰყავთ?***

— ეს არის 200-300-კაციანი ჯგუფი. როცა ვხედავ, რომ ვიღაც ძუნძგლიანი წამლის ბარიგა ნარკოტიკებით გამოთაყვანებულ თვალებს აბრიალებს და ხელისუფლებას ემუქრება: თუ ნარკოტიკებით ვაჭრობის უფლებას არ დამიკანონებთ, დაგამხობთო, მე გული მერევა! ამ ბარიგაზე კი არ მერევა გული, არამედ ხელისუფლებაზე. კაცი თუ ვინმე ყოფილა ამ ხელისუფლებაში, ხუნდაძე და გახარია, რომლებმაც თქვეს ის, რასაც ფიქრობდნენ, რომ ნარკოტიკის მოხმარებისთვის კაცი ციხეში არ უნდა ლპებოდეს, მაგრამ ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის სასჯელი უნდა გამკაცრდესო! რა არის აქ გაუგებარი?! ეს ხალხი ცდილობს დაიკანონოს უფლება, რომ ივაჭროს და გაავრცელოს ნარკოტიკები.

***— რამდენად იქნება გაზიარებული ამ ჯგუფის მოთხოვნები?***

— ჩვენ რომ ვიყოთ სრულფასოვანი სახელმწიფო, დღეს უკვე სუსი უნდა სწავლობდეს ამ ლობისტების და პარლამენტის წევრების მოტივაციას, ასევე პრეზიდენტისას და მისი აპარატისას, რატომ ცდილობენ ეს ადამიანები, ლობირება გაუწიონ საქართველოში ნარკოტიკებით ვაჭრობას, გავრცელებას და მის ლეგალიზაციას.

ამაში გადახდილია დიდი ფული. ასევე მაქვს ინფორმაცია, თუ ვის აქვს ეს ფული გადახდილი და ვის აქვს აღებული. თუმცა ამ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა შეისწავლოს. მთლიან თანხას არა, მაგრამ თანხის ნახევარი, 500 ათასი, ვინ აიღო, მე ამაზე მაქვს ინფორმაცია და ამის დამტკიცება შემიძლია. თუ გამოძიება პასუხისმგებლიანად იმუშავებს, ეს ყველაფერი დამტკიცდება! ასევე ცნობილია პირი, ვინც ეს თანხა გასცა.

***— პარლამენტის წევრებსაც აქვთ აღებული თანხა ამ კანონპროექტის ლობირებაში?***

— მე არ მაქვს ინფორმაცია, პარლამენტის წევრებს რამდენი მისცეს და მისცეს თუ არა, ან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში თუ გაჟონა ამ ფულმა, მაგრამ ცხადია, რომ ამის ლობირებაში ფულია გადახდილი. იმ პირთა ნაწილზე, ვისაც ეს ფული აქვს აღებული, მაქვს ინფორმაცია და დანარჩენ ნაწილზე გამოძიებამ უნდა იმუშაოს.

## ჯონდი ბაღათურია: „რასაც მარგველაშვილი ითხოვს, ეს პრეზიდენტისთვის შეუფერებელი პოზიციაა“



***— საუბრობთ, პრეზიდენტს რა მოტივაცია ამოძრავებსო. მისი მხრიდან ეს არის სუფთა ადამიანური მიდგომები, სიბრალული ნარკომომხმარებლების მიმართ და ამიტომ ლობირებს კანონს, თუ აქ სხვა მოტივაციაა?***

— შეიძლება პრეზიდენტს გულუბრყვილოდ სჯეროდეს, რომ ნარკოტიკების მოხმარება არის ჰუმანური აქტი, თუმცა ამ კანონპროექტს თუ ჩავხედავთ, სადაც ნარკოტიკის გაყიდვაზე და მის სრულ ლეგალიზაციაზეა საუბარი, ვერ დავიჯერებ, რომ პრეზიდენტს სჯეროდეს, რომ ეს ჰუმანურია და საზოგადოებისთვის კარგი იქნება. უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტს არ აქვს შესწავლილი ამ დანაშაულის სპეციფიკა და ის ამ საკითხს საერთოდ არ იცნობს. როცა აცხადებენ, რომ 3.500 კაცი ზის ნარკოდანაშაულზე, ეს არის სიცრუე.

***— არ არის ეს ციფრი? უფრო ნაკლებია?***

— 3.500 კაცს კი აქვს ერთ-ერთი მუხლი ნარკოდანაშაული, ზოგს შეძენა, ზოგს გადაზიდვა, შენახვა და ზოგსაც მოხმარება, მაგრამ მათ სხვა მუხლებიც აქვთ. ანუ 3.500 კაციდან 99% ზის სხვა დანაშაულზე! უბრალოდ, ნარკოტიკები როცა მოიხმარა, მერე სხვა დანაშაულიც ჩაიდინა! და სასჯელს იხდის არა ნარკოტიკების მოხმარებაზე, არამედ იმ დანაშაულზე. მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარების მუხლით დაახლოებით 7 თუ 8 კაცი უნდა იჯდეს და პრეზიდენტს აქვს ყველა ის ინსტრუმენტი, რომ ეს ადამიანები გაათავისუფლოს!

3.500 კაცი, რომელსაც ასახელებენ, ზის ყაჩაღობაზე, ბანდიტიზმზე, შესაძლოა ზოგი უდანაშაულოც არის და რაღაც დააბრალეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნარკოტიკის უკანონო ბრუნვის ლეგალიზაცია მოვახდინოთ! შეიძლება ადამიანს დააბრალეს საბურავის ქურდობა და რა ვქნათ, საბურავის ქურდობის ლეგალიზაცია მოვახდინოთ, ასეთი რამ რომ არ დაბრალდეს?!

რასაც მარგველაშვილი ითხოვს, ეს პრეზიდენტისთვის შეუფერებელი პოზიციაა. მინდა ვიფიქრო, რომ მას ცუდი მრჩევლები ჰყავს ამ დარგში. ქუჩაში ვინც გამოდის დღეს და ხმაურობს, იქიდან ბევრი ნარკობარიგაა, თუმცა ბევრია ისეთიც, რომელიც ხმაურსაა აყოლილი და უნდა, რომ...

***— უბრალოდ პლანი მოწიოს?***

— არა, ბატონო, ეს თემა პლანის მოწევას არ ეხება! თემა ეხება ჰეროინის, კოკაინის, სუბოტექსის და სხვა მძიმე ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ეს აქტიობა მარიხუანასთან არანაირ კავშირში არ არის, რადგან ის უკვე ლეგალიზებულია. აქაც უპასუხისმგებლო დადგენილება გამოიტანა საკონსტიტუციო სასამართლომ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ 70 გრამი მარიხუანის ჯიბეში ჩადება და მისით გადაადგილება, როგორ ფიქრობთ, ეს რაოდენობა პირადი მოხმარებისთვის უნდა ვინმეს?! საშუალო კონცენტრაციის 70 გრამი მარიხუანა დაახლოებით 500 კაცის დასაბოლებლადაა საკმარისი, ხოლო თუ მაღალი კონცენტრაციისაა, მაშინ 1.500 კაცსაც ეყოფა. ახლა მე ვკითხულობ, თუნდაც 500 კაცის დოზა ნარკოტიკით ჯიბეში, ადამიანი პირადი მოხმარებისთვის გადაადგილდება?! სიგარეტის მწეველი კაცი 500 ღერი სიგარეტით ჯიბეში დადის?! ვინმეს სჯერა, რომ როცა კაცს 500 კაცის დოზა უდევს ჯიბეში და გადაადგილდება, პირადი მოხმარებისთვის უნდა?! ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, ამ გადაწყვეტილებას რომ იღებდნენ, ასე სჯეროდათ?!

ნარკოტიკების ლეგალიზების შემთხვევაში მე რთულად წარმომიდგენია კრიმინოგენურ სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება. პოლიცია უნდა გრძნობდეს საზოგადოების მხარდაჭერას და მისგან პატივისცემას, პოეტი იქნება თუ ნარკომანი, მსახიობი თუ ესტრადის მომღერალი, ვინც გინდა ის იყავი, ეს არ გაძლევს უფლებას, რომ ნარკოტიკი მოიხმარო და მერე პოლიციელს დედა აგინო! ეს ყველამ უნდა შეიგნოს.

---

# „პრეზიდენტმა მმართველ ძალას გირგვლიანის შესწორებებზე ლოგიკური შეთავაზება გაუკეთა“

## რამაზ საყვარელიძე: „პრობლემა ისაა, დათანხმდება თუ არა ამას მმართველი ძალა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ „ქართული ოცნებისთვის“ გაკეთებულ პოლიტიკურ შეთავაზებაზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე ხელისუფლებას პოლიტიკური შეთავაზება გაუკეთა, რომლის მიხედვითაც ე.წ. გირგვლიანის შესწორებების საფუძველზე სისტემურ დანაშაულში მონაწილე პირები სისტემიდან დაითხოვონ. როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის ამ შეთავაზებას?***

— თავისთავად საკითხის ასე დაყენება სავსებით ლოგიკურია, რადგან პრეზიდენტი, როგორც ჩანს, გამოდის იმ ლოგიკიდან, რომელიც რამდენიმე დღის წინ მმართველმა პარტიამ დააყენა. თუ მმართველი პარტია აცხადებს, რომ ე.წ. გირგვლიანის შესწორებების მიზანი და ამოცანა არის ის, რომ არასდროს აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტი და დაუშვებელი გახდეს სამომავლოდ მსგავსი დანაშაული, მაშინ, მოდი, ეს ხალხი, რომლებიც სისტემურ დანაშაულში არიან ეჭვმიტანილი თუ მხილებული, დავითხოვოთ სამსახურიდან.



პრეზიდენტის შეთავაზებაა, რომ თუკი სამომავლოდ გვინდა, თავი დავიცვათ ასეთი დანაშაულებისგან, მოდით, წარსულშიც დავიცვათ თავი ამ დანაშაულისგან და წარსულით დავიწყოთ. არა მგონია, პრეზიდენტის ამ შეთავაზებაში რაიმე უხერხული და მიუღებელი იყოს. მეტიც, ეს ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა იმ იდეის, რამელსაც „ქართული ოცნება“ საზოგადოებას სთავაზობს. უმრავლესობის მხრიდან საკითხის დაყენება ასევე ლოგიკურია და მისაღებია, ოღონდ საქმე ეხება მომავალს. რაც შეეხება მარგველაშვილს, მარგველაშვილის მხრიდანაც საკითხის ასე დაყენება ლოგიკურია და მან საკითხი წარსულთან მიმართებით დააყენა.

***— თქვენ ამბობთ, რომ ორივე ინიციატივა ერთმანეთს ავსებს და არა პირიქით?***

— დიახ, სწორედ ასეა.

***— შეიძლება ეს იდეა ე.წ. სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში განვიხილოთ?***

— დიახ, ალბათ ეს არის სამართლიანობის აღდგენის დასაწყისი, თუ, რა თქმა უნდა, ეს ორივე ურთიერთშემავსებელი იდეა ბოლომდე იქნება მიყვანილი. ეს არის ერთი სულისკვეთების ასპექტი.

***— რამდენად იქნება პრეზიდენტის ეს შეთავაზება უმრავლესობის მხრიდან გაზიარებული?***

— სწორედ აქ იწყება პრობლემები. იდეა შესანიშნავია, მაგრამ, რამდენად აღსრულდება, ეს არის საკითხავი. ის ხალხი, რომლებიც სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდნენ, ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ, მოქმედ სისტემის მუშაობაში არიან ჩართული. ამ ადამიანების სისტემიდან გასტუმრება, გაშვება, გააჩნია, რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ამაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული.

***— მაგალითად, მურუსიძე, რომელთან დაკავშირებითაც ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია სწორედ ამ საქმეზე. გირგვლიანის ადვოკატები აცხადებენ, რომ მოსამართლე მურუსიძეს შეეძლო ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება, რაც იქნებოდა საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნება. მურუსიძის გადაწყვეტილების შემდეგ მიიღეს ადვოკატებმა საქმის სტრასბურგში წაღების გადაწყვეტილება. დღეს მურუსიძე სამუდამოდ გამწესებული მოსამართლეა.***

— სწორედ ეგ ვიგულისხმე, როდესაც პრობლემებზე ვამახვილებდი ყურადღებას. კონკრეტულად მურუსიძის ფაქტორზე ვფიქრობდი. ხელისუფლების ეს იდეა ყოველგვარი პიარისგანაც რომ იყოს დაცლილი და რეალური სურვილი რომ ამოძრავებდეს, იქნება რთულად შესასრულებელი, მაგრამ ძალიან სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა. ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე ქვეყნისთვის ზოგადად.

***— ძალიან ბევრი ითქვა ამ ბოლო დროს პიარზე, რომ ეს ყველაფერი პიარის ნაწილია, მაგრამ, რეალურად თუ გადადგამს ხელისუფლება ამ მიმართულებით ნაბიჯს, რამდენად იქნება მომგებიანი ხელისუფლების იმიჯისთვის?***

— ეს ნამდვილად იქნება ხელისუფლების იმიჯისთვის მომგებიანი. თუკი გავითვალისწინებთ, დაახლოებით რამდენი ადამიანი ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და იმ დოკუმენტებსაც მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც პროკურატურაში საჩივრების სახით დევს, მაშინ ვნახავთ, რა შედეგის მოტანა შეუძლია ამ ნაბიჯს თუნდაც პიარის კუთხით ხელისუფლებისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ნაბიჯმა ასევე შეიძლება ბევრი პრობლემა დააყენოს როგორც სასამართლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე.

***— ბატონო რამაზ, პრეზიდენტის ბრიფინგის პარალელურად, სოციალურ ქსელებში უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა მართლაც დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და ეს ყველაფერი ამის ნაწილია. შეიძლება ასეა?***

— ასეც რომ იყოს, ამაში უცნაური არაფერი იქნებოდა. მე იდეასა და მის შინაარსზე ვსაუბრობ, რაც, ვიმეორებ, ლოგიკური და სავსებით მისაღები უნდა იყოს როგორც მმართველი პარტიის, ისე ამ საზოგადოებისთვის.

# მთავარმა პროკურატურამ მაჩალიკაშვილის ოჯახი ჯერჯერობით უარით გამოისტუმრა

## რას არ თანხმდება საგამოძიებო უწყება

შორენა მარსაგიშვილი

**26 იანვარს პანკისის ხეობაში საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც სპეცოპერაციისას დაღუპული თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებმა მთავარ პროკურორთან შეხვედრა მოითხოვეს. ქვეყნის მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვდნენ ხეობის უხუცესები.**

მათ მოთხოვნას ირაკლი შოთაძე რამდენიმე დღის შემდეგ გამოეხმაურა. მთავარმა პროკურორმა ოჯახთან შეხვედრაზე მზადყოფნა გამოთქვა. შეხვედრა 2 თებერვალს შედგა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დასრულდა.

გარდაცვლილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი თავიდანვე სკეპტიკურად იყო ამ შეხვედრის მიმართ განწყობილი.

– ოჯახი და უხუცესები ვითხოვდით, რომ მთავარი პროკურორი ხეობაში ამოსულიყო. ამაზე უარი მივიღეთ. მერე შევთანხმდით, რომ უხუცესები ჩვენთან ერთად ჩამოვიდოდნენ თბილისში და ერთად შევხვდებოდით შოთაძეს.

გვითხრეს ისიც, რომ მთავარი პროკურორი 10-12 კაცს მიგვიღებდა. 1 თებერვალს დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ მხოლოდ ოჯახის წევრებს შეხვდებოდნენ, – აღნიშნა მაჩალიკაშვილმა.

შეხვედრის დაწყებამდე ოჯახის ადვოკატმა ის მოთხოვნები გაახმოვანა, რაც მაჩალიკაშვილებს ჰქონდათ მთავარი პროკურატურის მიმართ.

– პირველი მოთხოვნაა, რომ დაისაჯონ უმკაცრესი ზომით, ვინც დაგეგმა, ვინც გაისროლა, ვისი ხელიც ამაში ურევია. მეორე მოთხოვნაა, მოგვანიჭონ დაზარალებულის სტატუსი. მესამე – აღიარონ თემირლანის უდანაშაულობა. მეოთხე – გამოიძიონ, როგორ აერიათ ბინა, მისამართი.

ეს ყუმბარაც და თემირლანიც 4 საათის განმავლობაში სუს-ის კონტროლის ხელში იყო, მკვდარსაც კი მოტეხავდნენ ხელებს, ისე ჩაუდებდნენ ხელში ყუმბარას, რათა რაღაც ანაბეჭდები ყოფილიყო. ტერორისტი თუ იყო, მას უნდა ჰქონოდა აუარებელი არსენალი იარაღის. ეს ყველაფერი არის ზღაპარი, მონაგონი. ეს არის რაღაც ცუდი ფილმის ცუდი სიუჟეტის რაღაც ნაწილი, ცუდი რეჟისორის მიერ დადგმული. ეს არის მოთხოვნები, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

მთავარ პროკურორთან გამართული შეხვედრა მაჩალიკაშვილებმა კომენტარის გარეშე დატოვეს. განცხადება ოჯახის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, მთავარ მოთხოვნაზე, რომელიც ეხება საქმის მასალების გადაცემას და დაზარალებულად ცნობას, უარი მიიღეს.

– მთავარი პროკურატურის განმარტებით, იქამდე, ვიდრე არ იქნება ექსპერტიზის დასკვნები, დაზარალებულად ცნობა შეუძლებელია. მე მესმის, მე იურისტი ვარ და ვიცი, რომ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებაში არსებობს თმენის ვალდებულება, თუმცა ამის გაგება ოჯახის წევრებისთვის რთულია.







ოჯახის მეორე მოთხოვნა იყო წვდომა საქმის მასალებთან მიმართებაში. მათი განმარტებით, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო საიდუმლო მასალებზე, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმეში ინახება, წვდომა ვერ მოხდება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატმა.

შეხვედრასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია საგამოძიებო უწყებამაც დააფიქსირა. მთავარმა პროკურატურამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია თუ რატომ არ მიენიჭა გარდაცვლილ ახალგაზრდას დაზარალებულის სტატუსი.

– საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და საგამოძიებო ჯგუფი თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდა. საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამართულ შეხვედრაზე ოჯახის წევრებს და მათ ადვოკატებს მიეწოდათ ინფორმაცია პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარე გამოძიების შესახებ.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა და საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების კითხვებს უპასუხეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, გამოიკითხნენ მოწმეები, ასევე სროლის ტრაექტორიის განსაზღვრის მიზნით დანიშნულია სასამართლო სამედიცინო და კომპლექსური (გენეტიკური, ბალისტიკური და ტრასოლოგიური) ექსპერტიზები, რომელიც დღეის მდგომარეობით დასრულებული არ არის.

შეხვედრაზე თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ოჯახისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე, რაზეც მათ განემარტათ, რომ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით არ არის დასრულებული ზემოხსენებული ექსპერტიზები და ჩასატარებელია სხვა საგამოძიებო მოქმედებები, პროკურორის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე ოჯახის ადვოკატს თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე ამ ეტაპზე უარი ეთქვა. მიუხედავად აღნიშნულისა, ოჯახს და ადვოკატს მიეცათ შესაძლებლობა და ოჯახის ადვოკატები და მათ მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ასევე მონაწილეობას იღებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში, გაეცნენ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს.

საქმეზე აქტიურად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მტკიცებულებათა მოპოვება და მიღებული შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება ოჯახს და საზოგადოებას, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

---

# გიორგი მარგველაშვილი:

## „საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციისთვის შეიძლება ძალიან საინტერესო პარტნიორი ვიყო, თუმცა არანაირი კონსულტაციები არ გამართულა“



– ოპოზიციისთვის შეიძლება ძალიან საინტერესო პარტნიორი ვიყო, თუმცა არანაირი კონსულტაციები არ გამართულა, – ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტის კითხვას, გამორიცხავს თუ არა ქვეყნის პირველი პირი რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან თანამშრომლობას.

მარგველაშვილის თქმით, მას პირადად არ აქვს გადაწყვეტილი მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, შესაბამისად, მიაჩნია, რომ ამ საკითხზე კონსულტაციების გამართვა შინაარსს მოკლებულია.

– ჩემთვის გასაგებია, რომ ოპოზიციისთვის შეიძლება ძალიან საინტერესო პარტნიორი ვიყო. თუმცა, ჩემთვის რამდენად საინტერესოა განსხვავებული სპექტრის ოპოზიციური პარტიები, მათი შეხედულებები, წინა პოლიტიკური საქმიანობა, მომავალი გეგმები – ამის თაობაზე შეგვიძლია მერე დატალურად ვისაუბროთ. ახლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არც არავისთან ყოფილა კომუნიკაცია. მით უმეტეს, რომ ჯერ მე არ მაქვს გადაწყვეტილება მიღებული და ამასთან ერთად ბუნებრივია, რომ ეს კონსულტაციები ასე ამ კოტექსტში, როცა გადაწყვეტილი არაფერია, შინაარსს მოკლებულია, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

---

# „ევროპული საქართველო“ მიხეილ ჯანელიძეს პარლამენტში იბარებს

„ევროპული საქართველო“ მიხეილ ჯანელიძეს პარლამენტში იბარებს „ევროპული საქართველო“ საგარეო საქმეთა მინისტრს, ვიცე პრემიერ მიხეილ ჯანელიძეს პარლამენტში იბარებს. ამის შესახებ პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიამ განაცხადა. პარტიაში მიიჩნევენ, რომ საგარეო მიმართულებით ხელისუფლება მავნებლურ ნაბიჯებს დგას, რაც აზარალებს ქვეყნის უსაფრთხოებას.

„ახლა, როდესაც ჩვენი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი საჯაროდ გვთავაზობს მხარდაჭერას და თანამშრომლობას, რომ საქართველოს პრობლემა იქცეს საერთაშორისო სანქციების ნაწილი, ჩვენ ვისმენთ ერთი შეხედვით უშინაარსო და უაზრო კომენტარს, მაგრამ რეალურად აბსოლუტურად საზიანო, მავნებლურ და უპასუხისმგებლო განცხადებას და შეურაცხყოფას ჩვენი მეზობელი ქვეყნის მიმართ. „ევროპული საქართველო“ საგარეო საქმეთა მინისტრს პარლამენტში იბარებს, რომ საზოგადოებას განუმარტოს, რატომ დგამს ხელისუფლება მავნებლურ ნაბიჯებს ქვეყნის უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საჭიროა, რომ რუსეთის აგრესია იყოს რაც შეიძლება დიდი ყურადღების ქვეშ თავისუფალი სამყაროს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. მშვიდობიანი გზით ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აუცილებელია, რომ ეს პრობლემა იყოს იმ პრეტენზიების ნაწილი, რასაც თავისუფალი სამყარო უყენებს რუსეთს. ამის შანსი გაჩნდა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის შემდეგ, როდესაც თავისუფალმა სამყარომ უკეთ დაინახა რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი. მაშინ „ქართული ოცნების“ მთავრობამ არა თუ არ იმუშავა ამისთვის, შეიძლება ითქვას, რომ საწინააღმდეგოდ ნაბიჯები გადადგა.



გვაინტერესებს ამაზე პრემიერის კომენტარი, როგორ აფასებს საკუთარი მინისტრის პოზიციას და რა არის ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პოზიცია?! „ევროპული საქართველო“ ვთავაზობთ და მოვითხოვთ საგარეო საქმეთა მინისტრისგან, რომ გვითხრას ნებისმიერი დღე, როდესაც სცალია, მობრძანდეს პარლამენტში და საზოგადოებას განუმარტოს – რატომ დგამს ყოველ დღე ჩვენი ხელისუფლება გაუაზრებელ და ამავე დროს მავნებლურ ნაბიჯებს ქვეყნის დღევანდელი და გრძელვადიანი ინტერესების და უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ”, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

---

# თბილისის ქუჩებში შიშველი კაცი გამოჩნდა



საპატრულო პოლიციამ ახალგაზრდა კაცი, თბილისის ქუჩებში შიშველი სიარულისთვის, 200 ლარით დააჯარიმა. ამის შესახებ on.ge წერს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის მეორე ნაწილით დააჯარიმეს.

ამ მუხლით, საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედება, რაც გამოიხატება საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობით და იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას (სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივი უხამსი გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება), ისჯება ჯარიმით 100-დან 200 ლარამდე.

შიშველი ახალგაზრდას ფოტოები და ვიდეოები სოციალური ქსელის საშუალებითაც გავრცელდა.

**იმედინიუსი**

---

# კახა კალაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ წარსულში ჩარჩენილი, გაკოტრებული პოლიტიკური პარტიაა და მათთან სადებატო არაფერი გვაქვს



– „ნაციონალური მოძრაობა“ ეს არის წარსულში ჩარჩენილი, გაკოტრებული პოლიტიკური პარტია, ამიტომ მათთან სადებატო არაფერი გვაქვს, – ასე უპასუხა თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტების შეკითხვას, ჩაერთვება თუ არა მერია საჯარო დებატებში, რომლის მოწყობასაც „ნაციონალური მოძრაობა“ გენგეგმასთან დაკავშირებით, ორშაბათს აპირებს.

– სადებატო არაფერი აქვთ. კიდევ ვიმეორებ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ეს არის წარსულში ჩარჩენილი, გაკოტრებული პოლიტიკური პარტია. მიუხედავად ამ ყველაფრის, მე, პირადად, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გავაკეთე განცხადება და მივმართე მათ და არა მხოლოდ მათ, ყველას, ვისაც სურვილი აქვს ქალაქის გენერალური გეგმის შეფასებაში, რომელიც უკვე ორ წელზე მეტია მიმდინარეობს. დაგვეხმარნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ჩართულები არიან ქართველი და უცხოელი ექსპერტები. ვისაც სურვილი აქვს პოლიტიკურ პარტიებს, წარმოადგინონ ერთი ადამიანი, ვინც კომპეტენტურია და ჩავრთავთ პროცესში. თუ არ არის კომპეტენტური, არა უშავს, ჩვენ მივცემთ ყველანაირ დოკუმენტაციას, რომელიც „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ აქვს მოწოდებული. კითხვა დღეს ყველას შეუძლია და, ალბათ, აქვთ იმის გონივრული შესაძლებლობა, გააანალიზონ რა დოკუმენტია მიწოდებული. გენერალური გეგმა ჩვენი დედაქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია, არის სახალხო დოკუმენტი, ქალაქის ერთგვარი კონსტიტუცია, რომელზეც ეფუძნება ქალაქის სწორი განვითარება მომდევნო წლების განმავლობაში. მათ მე მივეცი იმის შესაძლებლობა, რომ შეფასების ჯგუფში შემოვიდნენ. აქ სადებატო არაფერია, დოკუმენტი ერთად განვიხილოთ და ვთქვათ რა პრობლემებია. თუ არის კარგი დოკუმენტი, ვთქვათ რომ კარგი დოკუმენტია, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ოპოზიცია კონტრლონისძიების გატარებას გეგმავს იმისთვის, რომ თბილისის გენერალური გეგმის ხელახალი განხილვა დაიწყოს.

# რატომ ირღვევა ანტირუსული სანქციების კანონი?

## შავ სიაში შეყვანილი რუსეთის გავლენიანი წარმომადგენლების ნაწილი უკვე დაზარალდა

მარიამ მჭედლიშვილი

**210-კაციანი სია, რომელიც მისი ფიგურანტების მიმართ ახალი სანქციების საფუძველი უნდა გახდეს, დავას იწვევს. შავ სიაში შეყვანილი რუსეთის მაღალჩინოსნების, ოლიგარქებისა და სახელმწიფო კომპანიების მიმართ ჯერ კონკრეტული ახალი შეზღუდვები არ ამოქმედებულა, თუმცა, ძალაშია სანქციებთან დაკავშირებული კანონი და ის შეზღუდვები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გარკვეული ხანია, მოქმედებს.**



ამ ფონზე დიდ დავას იწვევს იანვრის ბოლოს ვაშინგტონში რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების ვიზიტი. ბევრ კომენტატორს მიაჩნია, რომ „კრემლის სიის“ ფიგურანტები ამერიკაში არ უნდა შეეშვათ.

ოფიციალური მონაცემებით, ვაშინგტონში გაიმართა მათი შეხვედრა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელ მაიკ პომპეოსთან. რუსეთის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი სერგეი ნარიშკინი და უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსი ალექსანდრ ბორტნიკოვი. საუბარი შეეხო ტერორიზმთან ბრძოლას.

„ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ამ დროს ვაშინგტონში ასევე იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მეთაური იგორ კოროზოვი.

მისი ამერიკაში ყოფნის მიზანი უცნობია.

გამოცემის შეფასებით, რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების ერთდროულად ჩასვლა აშშ-ში უპრეცედენტო მოვლენაა. ეს მოლაპარაკებები შეიძლება შეფასდეს თეთრი სახლის მზადყოფნად, გადაფურცლოს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევა.

ამერიკელი ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ამით ირღვევა რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკა და კანონი სანქციების თაობაზე.

გაუგებრობას იწვევს ასევე ინფორმაციის გასაჯაროება ამ საიდუმლო ვიზიტის შესახებ. ეს, კომენტატორების აზრით, მეტყველებს გარკვეულ თამაშებზე.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ აშშ-ს კონგრესსა და პრეზიდენტს შორის უთანხმოებაა ანტირუსული სანქციების საკითხში. კონგრესი კრემლის მიმართ მკაცრი პოლიტიკის მომხრეა.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ რუსეთის არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე გამოძიების საბოლოო შედეგი გამოააშკარავებს, თუ რატომ ცდილობდა რუსეთის საწინააღმდეგო ზომების შერბილებას პრეზიდენტი ტრამპი.

დასავლური გამოცემების ინფორმაციით, „კრემლის სიაში“ შეყვანამ უკვე მიაყენა ზარალი ზოგიერთ ფიგურანტს. მაგალითად, „ლუკოილის“ მფლობელის, ვაგიტ ალეკპეროვის ზარალმა 226 მილიონ დოლარს მიაღწია, რომან აბრამოვიჩისამ კი – 60 მილიონ დოლარს. გარდა ამისა, პარტნიორები შიშობენ რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაგრძელებას. თურქეთმა, შესაძლოა, რუსეთისაგან სამხედრო ტექნიკა აღარ შეიძინოს.

შვედი ეკონომისტი ანდრეს ოსლუნდი მიესალმება კრემლის საწინააღმდეგო სანქციებს, მაგრამ დასძენს, რომ „კრემლის სია“ არასწორად იქნა შედგენილი. მისი თქმით, აუცილებელი იყო სიაში შესაყვან პირებზე საფუძვლიანი მონაცემების მოძიება, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ კი პირდაპირ გადაწერა რუსეთის მაღალი რანგის მოხელეების გვარები და რუსეთის უმდიდრესი ადამიანების სია „ფორბსიდან“. ამით ამერიკამ უკუეფექტს მიაღწია. ამისათვის პასუხი უნდა აგოს აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა.

დასავლეთის საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს აშშ-ის საგარეო უწყების განცხადება იმის შესახებ, რომ ვაშინგტონს შეუძლია დაბლოკოს სანქციებით გათვალისწინებული აკრძალვები საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. რუსეთის სპეცსამსახურების შეფების ვიზიტს ვაშინგტონი ამ მოტივით ხსნის, რასაც ოპონენტები რუსეთის მიმართ დაყვავებად აღიქვამენ.

# „ნარკოტიკის ლეგალიზაცია რომ მოხდეს, ისედაც გაჭირვებული მოსახლეობა მთლად გამოთაყვანდება“

## ჯუმბერ თავართქილაძე: „ნარკოტიკს ქორწილში, ტირილში თუ რესტორანში, ყველგან მოიხმარენ“

გულიკო ბალაძე

**რა შედეგები მოუტანა აჭარას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ? ამ საკითხზე „ახალ თაობას“ საქართველოს ერთიანობის კავშირის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე ესაუბრა.**

**ჯუმბერ თავართქილაძე:**

– დღეს საქართველოში ძალიან დიდი აჟიოტაჟია ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით. ხალხი, რომელიც ნარკოტიკების გამო ციხეში უნდა იჯდეს, გამოდის და ნარკოლიბერალიზაციას ითხოვს. საქართველოში ნარკოლიბერალიზაციაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. მოვუწოდებ ხელისუფლებას, არც კი იფიქროს ნარკოტიკის ლეგალიზაციაზე. ნუ მოუსმენს არასამთავრობო ორგანიზაციებს. ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს გონივრული და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება იქ, სადაც ერის ინტერესებია დასაცავი. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ნუ შეშინდება და ნუ დათანხმდება დანაშაულის ლეგალიზაციას, – აცხადებს ჯუმბერ თავართქილაძე.

*– ნარკოტიკის მომხმარებელიც უნდა იჯდეს ციხეში თუ თქვენ გამსაღებლებზე საუბრობთ?*

– დღეს ნარკოლიბერალიზაციას ითხოვს ის ხალხი, ვინც არის გამსაღებელიც, რეალიზატორიც, შემძენიც და მომხმარებელიც. არ ვამბობ, რომ ვინც მომხმარებელია, ყველა ციხეში უნდა წავიდეს, მაგრამ საქართველოში ნარკოლიბერალიზაცია გამორიცხულია. ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

*– რატომ ფიქრობთ ასე?*

– მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი მუხლი არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნო, არაერთხელ ვიყავი გასვენებაში, ვიყავი ქორწილში და რამდენიმეჯერ ვიყავი რესტორანში. სადაც არ მივედი, ყველგან აუტანელი სიტუაცია იყო.

*– რა მხრივ?*

– არა მარტო ჩვენი ახალგაზრდობა, არამედ ყველა ადამიანი, ვინც მომხმარებელია, ნარკოტიკის მოხმარებას აღარ ერიდება. ქორწილშია, ტირილში თუ რესტორანში, ნარკოტიკს ყველგან მოიხმარს. ეს სიტუაცია ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენს მომავალზე, ბავშვებზე. არა მგონია, ქართველი ერი იმდენად განებივრებული ვიყოთ ჩვენი სიმრავლითა და გონებრივი განვითარებით, რომ ნარკოსაწამლავს ჩვენი გონება მოვაწამლინოთ. ვინც დღეს ნარკოლეგალიზაციას ითხოვს, ეს ის ხალხია, ვინც ნარკოტიკის რეალიზაციას ახდენს.

*– ამ მხრივ, ბათუმში რა მდგომარეობაა?*

– იგივე მდგომარეობაა და უფრო უარესი, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონში.

*– აჭარის რაიონებსა და სოფლებშიც იგივე მდგომარეობაა?*

– დიახ. მაღალმთიან აჭარაში ეს პრობლემა დგას. ამის აღიარება არავის უნდა.

*– მოსახლეობაში რა აზრია ნარკოტიკის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, ნარკოტიკის მომხმარებელი არ უნდა ჩაჯდეს ციხეში, პასუხი არ უნდა მოეთხოვოს?*

– დღევანდელ ხელისუფლებას ვურჩევ, თავის მოსახლეობას მოუსმინოს და არა იმ რამდენიმე დაჯგუფებას, რომელიც ნარკოტიკის ლეგალიზაციას ითხოვს. ჩაატარონ პლებისციტი და გავიგებთ, მოსახლეობის უმეტესობას სურს თუ არა ნარკოტიკის ლეგალიზაცია.

მომხმარებლის პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლებოდეს ჯარიმით, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით და მას უნდა მიესაჯოს იძულებითი მკურნალობა. მათ ციხეში გაშვების არ ვემხრობი, მაგრამ არც ლეგალიზაციას ვუჭერ მხარს.

*– ჩვენს კუთხეში როგორ გაიგო ხალხმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შესახებ?*

– საზოგადოებამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაიგო, როგორც ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზაციის გადაწყვეტილება. სინამდვილეში ასე არ არის, მაგრამ „რუსთავი-2-მა“ როგორც გააშუქა, საზოგადოებას ისე ჰგონია. თუმცა, ხელისუფლებას მოსახლეობისთვის არ განუმარტავს, რა გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ. ეს არის უბედურება. ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებ, სწორი, გონივრული და ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადადგას და არა სამი დაინტერესებული ჯგუფის მიერ შექმნილ აჟიოტაჟს აჰყვნენ.

სააკაშვილს ჩვენ ბევრ ბრალდებას ვუყენებთ, მაგრამ მას ერთი კარგი თვისება ჰქონდა. მისი ტელევიზიები და გაზეთები მის განცხადებებს განმარტავდნენ. არა მხოლოდ იმას განმარტავდნენ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, რასაც არ აკეთებდა, იმასაც აპიარებდნენ. შე კაი დედმამიშვილო, ხელისუფლებაში ხარ, რასაც კარგს გააკეთებ, ის მაინც გააპიარე.

*– შს მინისტრმა გახარიამ განაცხადა, რომ დეკრიმინალიზაცია არ მომხდარა. მით უმეტეს, არც ლიბერალიზაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შესახებ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კანონი უკვე შეიცვალა. საზოგადოებამ რატომ გადაწყვიტა, რომ ნარკოტიკის მოხმარება უკვე დეკრიმინალიზებული და ლეგალიზებულია?*

– ბატონი მინისტრის კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას რაღაც მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით, ამას კანონის შეცვლა არ სჭირდება. მარიხუანის კრიმინალიზაციის შესახებ მუხლი ეწერა კანონში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ბათილად ცნო. მას კანონში ჩაწერა აღარ სჭირდება, ბათილია, ის მუხლი იმ კანონში აღარ წერია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ მისი ბათილობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.



*– გასაგებია, მაგრამ თქვენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოგწონთ?*

– რა თქმა უნდა, არ მომწონს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო სხვა კუთხით გაეკეთებინა განმარტება. პირველ რიგში, მიემართა საქართველოს პარლამენტისთვის, რომ აღნიშნული მუხლი ჩანაცვლებულიყო სხვა, რბილი მუხლებით. მეორე მხრივ, მე არ მომწონს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთმა შტომ, თავის მხრივ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ არ მისცა რეკომენდაცია არსებული მუხლის სხვა მუხლით ჩანაცვლების თაობაზე, პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა ეყოს გონიერება, რომ გამოსავალი იპოვოს ამ საკითხის დასარეგულირებლად. საქართველოში ნარკოტიკების ლეგალიზაცია გამორიცხულია. ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეს უბრალოდ არ შეიძლება.

*– ლეგალიზაცია რას გამოიწვევს?*

– ნარკოტიკის ლეგალიზაცია რომ მოხდეს, ისედაც გაჭირვებული მოსახლეობა, რომელიც გაჭირვების გამო ისედაც გაბრუებულია, მარიხუანის მიღების შემდეგ მთლად გამოთაყვანდება. შედეგად ერი მთელი ცხოვრება კაიფში იქნება. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ერს, ჩვენს მომავალ თაობას, ამის საშუალება მივცეთ.

*– თქვენ თქვით, ახალგაზრდობა ნარკოტიკს დაეწაფაო. რატომ უჩნდება სურვილი, გაბრუებულმა იაროს?*

– სამუშაო ადგილები არ არის. ახალგაზრდა უნივერსიტეტს ამთავრებს, სამუშაოს ვერ პოულობს. ბევრი ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ გარბის, იქ ფეხს ვერ იკიდებს, უკან ბრუნდება და სოციალურ გაჭირვებაში ვარდება. ეს ყველაფერი ერთმანეთთან გადაბმულია. ახალგაზრდობა მარიხუანას სტრესის მოსახსნელ საშუალებად მიიჩნევს.

*– ინდოელები, არაბები რომ ჩამოდიან, ჩვენს მიწებს რომ ყიდულობენ და ამუშავებენ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ჩვენს ახალგაზრდებს შრომა არ უნდათ, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, მიწებს, სახლ-კარს ამიტომ ყიდიან და უცხოეთში გასამდიდრებლად მიდიან, იქაც ფეხს ვერ იკიდებენ და ისევ ბრუნდებიან. გამოსავლად გამოთაყვანებას და სახლში დაჯდომას მიიჩნევენ?*

– სადღაც თქვენც მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე იმ რეგიონს წარმოვადგენ, რომელსაც მაღალმთიანი აჭარა ჰქვია. რაც უნდა იშრომო მაღალმთიან აჭარაში მიწაზე, ის მიწა იმ სარგებელს ვერ გაძლევს, რომ წლის განმავლობაში თავი ირჩინო.

*– მე არ დაგეთანხმებით. ხულოში არ ვიცი, მაგრამ ქედაში სხვანაირად არის, ყველაფერი მოდის.*

– ხულოში მიწაზე მუშაობით ოჯახს ვერ არჩენ.

*– მაშინ კომუნისტების დროს, შემდეგ როგორ არჩენდნენ ოჯახებს?*

– მაშინ თამბაქოს კულტურა მოჰყავდათ, სახელმწიფო უზრუნველყოფდა ნედლეულის შეძენას და შრომას ფასი ჰქონდა. დღეს არის ველური კაპიტალიზმი, რომლის დაუწერელი კანონია, როგორც გინდა, ისე იშრომე, როგორც გინდა, ისე გაასაღე შენი პროდუქცია. სამწუხაროდ, 90-იანი წლების შემდეგ აჭარაში მოისპო თამბაქოს, ჩაის კულტურა. მართალია, ჩაისა და თამბაქოს მოყვანა შრომატევადია, მაგრამ შემოსავალი ჰქონდა ხალხს. ზემო აჭარაში თამბაქოს კულტურამ კარგად იმუშავა და სოციალური პრობლემებიც გადაჭრილი იყო.

*– მგონი, ახლა კვლავ დაიწყეს თამბაქოს მოყვანა.*

– მე მოვისმინე აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება და მივესალმები, თუ ზემო აჭარაში მოხდება თამბაქოს მოყვანა, ქობულეთსა და ხელვაჩაურში კი ჩაის კულტურა აღორძინდება. ქედაში გაუმართლათ, ყველა კულტურის (თამბაქოს, ვენახის) მოყვანა შეიძლება.

*– თვითონ მშობლებმა უნდა აიღონ თავის თავზე დიდი პასუხისმგებლობა, ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ შვილები ნარკოტიკების გზას არ დაადგნენ.*

– ვერ დაგეთანხმებით. ბავშვი ოჯახიდან გადის ქუჩაში, მიდის სკოლაში. სკოლიდან რომ მოდის, ისევ ქუჩაში გადის. ზოგ ბავშვს მშობელი არ ჰყავს. ათასი გარემოებაა. შვილების ნარკოტიკებისგან დისტანცირება მხოლოდ მშობელზე არ არის დამოკიდებული. პირადად მე დავიბადე და გავიზარდე იმ რაიონში (ხულოში), რომელიც მარიხუანის დედად ითვლება.

*– მართლა?*

– დიახ. გეფიცებით, მე მარიხუანა რა ფერისაა, როგორ მზადდება, არ ვიცი. ჩემი სოფლიდან კილომეტრნახევარში არის სოფელი უჩხო, საიდანაც მარაგდებოდა მთელი აჭარა.

*– პოლიცია ვერ ხედავდა?*

– ხედავდა, აღკვეთილიც იყო, მაგრამ ყოველმხრივ აღკვეთა შეუძლებელია. ეს თემა კომუნისტების დროს ძალიან აჟიტირებული არ იყო. არც ერთ მშობელს არ უნდა, თავისი შვილი არაკანონიერ ქმედებებს ჩადიოდეს, მით უფრო, საკუთარ ჯანმრთელობას ვნებდეს. მშობელი, საზოგადოება, ქუჩა, სკოლა, ყველა ერთობლივად თუ არ იზრუნებს ამ პრობლემის გამოსწორებაზე, სხვანაირად ჩვენს შვილებს ვერ გადავარჩენთ.

# ლევან დავითაშვილი: „მუშაობა მიდის დიზელის სტანდარტის ამაღლებაზე და არა მის ტოტალურ აკრძალვაზე“



გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილის განმარტებით, მუშაობა მიდის დიზელის სტანდარტის ამაღლებაზე და არა მის ტოტალურ აკრძალვაზე.

— ბატონმა მამუკამ ხაზარაძემ ბიზნესთან შეხვედრის დროს დასვა კითხვა ზოგადად ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ჰაერის სისუფთავეზე და ითქვა, რომ საწვავი არის ძირითადი დაბინძურების წყარო. მართლაც ასეა. საქართველოში მძიმე მრეწველობა არც ისეთი მასშტაბით არის წარმოდგენილი და თუ დაბინძურების წყაროებს გავაანალიზებთ, ეს ძირითადად ავტომობილებიდან, ტრანსპორტიდან, საწვავიდან მომავალია. თუმცა, სიტუაცია არის ნორმალური. ამ კუთხით ინფრასტრუქტურა იქმნება — სადგურები გაკეთდა სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, თბილისში. ძალიან მოკლე ხანში დიღომში ლაბორატორია გაიხსნება, სადაც ყველა ეს ინფორმაცია თავს იყრის. ჩვენ ანალიზს გავაკეთებთ და გვინდა, საზოგადოებას რეგულარული ინფორმაცია მივაწოდოთ, თუ როგორია ჰაერის სისუფთავე საქართველოში. ძირითადად არის ნორმალური, მისაღები, კარგი ფონიც. ადრე იყო კვლევები, რომლებიც ამბობდა, რომ თბილისი დაბინძურებული ქალაქია და ა.შ., თუმცა ეს ეფუძნებოდა ძველ ინფორმაციას, იმ დრომდე, სანამ საქართველოში შემოვიდა უფრო მაღალი ხარისხის, „ევრო 5“ სტანდარტის ბენზინი. თუმცა, დიზელთან დაკავშირებით ბოლო სტანდარტი ჯერ არ გვაქვს შემოღებული. ზუსტად ამაზე იყო საუბარი, რომ ჩვენ რაღაც სტანდარტი გვაქვს დიზელთან დაკავშირებით და ეს სტანდარტი კიდევ უფრო გავამკაცროთ. ამაზე მუშაობა მიდის, მათ შორის, ბიზნესთან და ჩვენ ამ ნაბიჯსაც გადავდგამთ. რა თქმა უნდა, დიზელის ტოტალურ აკრძალვაზე არავინ საუბრობს, — განაცხადა დავითაშვილმა.

„საქართველოს ბიზნესასოციაციასა“ და პრემიერ-მინისტრს შორის გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც მინისტრთა კაბინეტის წევრებიც ესწრებოდნენ, ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე საქართველოში არაკონდიციური საწვავის შემოტანის აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა.

როგორც მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, ეს ეხება დიზელის საწვავს, რომელიც მისი თქმით, არის, პრაქტიკულად, დაბინძურების ყველაზე დიდი გამომწვევი ქალაქებში განსაკუთრებით, კი თბილისში.

# ნიკა გილაური: „არც ერთი ეკონომიკური თეორია პრაქტიკაში არ მუშაობს“



— არც ერთი ეკონომიკური თეორია პრაქტიკაში არ მუშაობს, — მიიჩნევს საქართველოს ექსპრემიერი ნიკა გილაური, რომელმაც საჯარო სექტორის დატოვების შემდეგ საკონსულტაციო კომპანია დააფუძნა და ახლა სხვა ქვეყნებს უწევს კონსულტაციას.

ნიკა გილაური ამბობს, რომ მათი უპირატესობა პრაქტიკული რჩევების შეთავაზებაა, რითაც ქვეყნები იხელმძღვანელებენ. ამისათვის გილაურმა ახალი წიგნიც დაწერა — „პრაქტიკული ეკონომიკა“.

— პრაქტიკაში მივხვდი, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ეკონომიკურ სკოლებს, რომელთაც გავეცანი, როცა პრემიერი გავხდი. გავიგე, რომ არც ერთი ეს სკოლა, არც ერთი ეკონომიკური თეორია პრაქტიკაში არ მუშაობს. ეს სიმართლეა. პრაქტიკაში მხოლოდ პრაქტიკული ეკონომიკა ამართლებს.

მიღწევაა, როდესაც კონკრეტულ პრობლემას ჭრი კონკრეტულ ქვეყანაში და ამას არავითარი კავშირი არ აქვს თეორიასთან... ამ ტიპის პრაქტიკული ფორმულები ძალიან საჭიროა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნებში, — ამბობს გილაური.

ექსპრემიერს მიაჩნია, რომ თუ ფორმულა გამართულად მუშაობს, ის თვითგანვითარებადია კონკრეტული სექტორისთვის.

— მიმაჩნია, რომ სწორი რეფორმები შევიმუშავეთ, მაშინაც იმუშავეს ინვესტიციების მოზიდვისთვის და მომავალშიც იმუშავებენ. ინვესტიციები კი ყოველთვის საჭირო იქნება. ამ რეფორმებს თვითგანვითარებადი ფორმულები აქვს, სწორედ ამიტომ მათი საჭიროება არა მხოლოდ საქართველოშია, არამედ დანარჩენ განვითარებად მსოფლიოშიც, — ამბობს გილაური.

# ბაზარზე არამარკირებული ბოთლი თუ გავა, პასუხისმგებლობა მწარმოებელს არ უნდა ეკისრებოდეს?



— სასმელების წარმოების ინდუსტრიას გლობალურად, რა თქმა უნდა, პრობლემა არ გვაქვს, თუმცა არსებობს ტექნიკური საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია, — ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენისა და ბიზნესსექტორის შეხვედრაზე კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიულ საქმეთა დირექტორმა ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე კომპანია დასვამს საკითხს, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს.

— მეწარმეები არ უნდა დაჯარიმდნენ იმ ქმედებების გამო, რაც მათ არ ჩაუდენიათ. ამიტომაც ბიზნესომბუდსმენთან შეხვედრაზე აღნიშნული საკითხის დასმა და მათზე შეთანხმება გვსურს, — აღნიშნა ხუნძაკიშვილმა.

მისივე თქმით, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არამარკირებული ბოთლის ბაზარზე გასვლის შემთხვევაში, პასუხისმგებელი მწარმოებელია.

— ტექნიკურ საკითხებს რაც შეეხება, ეს კონკრეტულად ელექტრონული მარკირების თემაა, რომელიც ორგანზომილებიანია. პირველი ფინანსური, ხოლო მეორე — ტექნიკური.

ფინანსურში იგულისხმება ის, თუ მომსახურების საფასურს ვინ გადაიხდის. ჩვენ ამაზე შევთანხმდით და ეს შემოსავლების სამსახურის პრეროგატივა იქნება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ეს არამარკირებულ პროდუქციას ეხება. მაგალითად, როგორიცაა არამარკირებული ბოთლი. კერძოდ, თუ ბაზარზე არამარკირებული ბოთლი გავა, პასუხისმგებლობა მწარმოებელს ეკისრება, რაც არასწორია, რადგან ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობას არ ვიღებთ, — განაცხადა ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა.

„კომერსატის“ კითხვაზე, დღეს ბიზნესი რამდენად რთული გამოწვევების წინაშე დგას, ხუნძაკიშვილი პასუხობს, რომ ყოფით დონეზე ბიზნესი თავისუფალია, თუმცა გავლენას სხვადასხვა გარემოფაქტორი ახდენს.

— ყველა ის ფაქტორი, რაც ჩვენთან არაპირდაპირ კავშირშია, ბიზნესსა და ბიზნესგარემოზე გავლენას მაინც ახდენს. მაგალითად, როგორიცაა ლარის დევალვაცია, მსყიდველუნარიანობის დაქვეითება, ამ შემთხვევაში ეროვნული ვალუტის გაუფასურება, — განაცხადა კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიულ საქმეთა დირექტორმა.

# ქართული ოცნების დეპუტატ ისკო დასენის ოჯახს ქონება პირდაპირი მიყიდვით გადაეცა



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღმაშენებლის 44/ჭოროხის 9 ნომერში განთავსებულ შენობებში 130, 200 და 336 (სულ 666) კვ.მეტრი ფართი პირდაპირი მიყიდვით შპს ტელეგრაფს გადაეცა.

შენობა, რომელიც საქართველოს ფოსტის ყოფილი ოფისის გაყოლებაზეა და კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს, კომპანიამ 415.453 ლარად იყიდა.

განკარგულების მიხედვით, მყიდველმა აღნიშნული თანხა ერთი თვის ვადაში უნდა დაფაროს. ერთადერთი მოთხოვნა, რაც მთავრობამ კომპანიას წაუყენა ძეგლის მოვლა-პატრონობაზე, 3 თვის ვადაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებაა.

შპს ტელეგრაფი, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2015 წლის ბოლოსაა რეგისტრირებული და მისი მფლობელები „ქართული ოცნების“ დეპუტატ ისკო დასენის შვილები, კნიაზ და ტიტალ დასენები არიან.

კნიაზ და ტიტალ დასენების კომპანია ტელეგრაფი ფლობს აღმაშენებელზე მდებარე ფოსტის ყოფილ შენობას, თუმცა 2016 წელს, როდესაც აუქციონში გაიმარჯვა, ნევადა ერქვა. ფოსტის ყოფილი შენობა, მაშინ 5.750.000 ლარად გაიყიდა.

დეპუტატ ისკო დასენს ამ თემაზე საუბარი არ სურს. ამბობს, რომ მას კომპანიასთან შეხება არ აქვს.

— მე კომპანიასთან შეხება არ მაქვს და არ ვიცი, რა პრივატიზაციაზეა საუბარი, მათი საქმიანობით მე არ ვინტერესდები, — განაცხადა ისკო დასენმა.

# ავტომობილების 22%-მა ტექდათვალიერება ვერ გაიარა



2018 წლის იანვრიდან დღემდე ტექნიკური დათვალიერება სულ 5.873-მა ავტომობილმა გაიარა. აღნიშნული მაჩვენებლიდან 22%-მა ანუ 1.270-მა პირმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები. 4.603-მა (78%) ავტომობილმა კი ტექნიკური დათვალიერება გაიარა.

2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას გაივლიან სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ ზემოთ) ავტომობილები, შემდეგ ეტაპზე — სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ასევე დიდი მოცულობის (3.0 და ზემოთ) ძრავების მქონე ავტომობილები და ა.შ.

2019 წლის ბოლომდე ინსპექტირებას გაივლის საქართველოში რეგისტრირებული მთლიანი ავტოპარკი.

# კალაძე: „ვმუშაობთ ლაღიძის წყლებთან დაკავშირებით“



როდის და როგორ შეიძენს „ლაღიძის წყლებს“ თბილისის მერია მიტროფანე ლაღიძის ოჯახისგან?

„ლაღიძის წყლების“ დაბრუნების საკითხზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. აღნიშნული „კომერსანტს“ ქართველი ბიზნესმენის მიტროფანე ლაღიძის შთამომავალმა თინათინ ლაღიძემ დაუდასტურა.

მისი განცხადებით, თბილისის მერიასა და ბრენდის მფლობელ ლაღიძეების ოჯახს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია, თუმცა, კონკრეტულად როგორ და რა ფორმით მოხდება ქონების დაბრუნება, ამაზე დაახლოებით 2 კვირაში ისაუბრებს.

ლაღიძის წყლებთან დაკავშირებით რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემაც განაცხადა. მისი განცხადებით, გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში იქნება მიღებული.

— ვმუშაობთ ლაღიძის წყლებთან დაკავშირებით და მე ვფიქრობ, უახლოეს მომავალში უკვე იქნება გადაწყვეტილება მიღებული. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას ძალიან მალე ვამცნობ, — განაცხადა კახა კალაძემ.

ლაღიძის კაფეს ისტორიულ ადგილზე აღდგენის სურვილი საქართველოს პრემიერმინისტრმა ორი თვის წინ გამოთქვა და შესაბამისი დავალება თბილისის მერს მისცა.

— ვისურვებდი, რომ „ლაღიძის წყლები“ და ის სახაჭაპურე, რომელიც დაკარგა რუსთაველის გამზირმა, მინდა, ქალაქის მერს, ჩვენს კახის ვუთხრა, იქნებ რაღაცნაირად მოვახერხოთ, რომ, რა თქმა უნდა, ბიზნესის უფლებების სრული დაცვით, გამოვისყიდოთ ეს ადგილი და ასევე განვაახლოთ, — განაცხადა მაშინ გიორგი კვირიკაშვილმა.

რუსთაველის 24-ში არსებული ფართი, რომელშიც წლების განმავლობაში ლაღიძის წყლების დაგემოვნება იყო შესაძლებელი, შპს ლინკოლნ მენეჯმენტი ჯორჯიას საკუთრებაა.

კომპანიას ყოფილი კაფის ორივე სართული (პირველი სართული და სარდაფი) გაქირავებული აქვს.

ზედა სართულზე, 130 კვ.მ.-ზე, ამჟამად ტანსაცმლის მაღაზიაა განთავსებული.

ქვედა სართულზე კი კაფე „აჭარულები ლაღიძეზე“ მდებარეობს, თუმცა, მას კავშირი მიტროფანე ლაღიძის ოჯახთან არ აქვს.

ეს კაფე 2014 წელს ვახტანგ ათაბეგაშვილმა გახსნა. მას ტერიტორია იჯარით 2019 წლამდე აქვს აღებული.

# „თუ ქურდული სამყაროს წევრი გამოძიებასთან ითანამშრომლებს, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება“



— კრიმინალური მენტალიტეტი და ორგანიზებული დანაშაული ქვეყნის განვითარებას აფერხებს, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამარცხოთ, — ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დაამტკიცეს კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ე.წ. კანონიერ ქურდებთან ბრძოლის გამკაცრებას ითვალისწინებს.

— დღეს, როდესაც ქვეყანა დგას კონკრეტული გამოწვევების წინაშე, კრიმინალური მენტალიტეტი და ორგანიზებული დანაშაული არის ძალიან დიდი რისკის შემცველი. ეს კომპონენტი ქვეყნის განვითარებას აფერხებს ბევრი სხვადასხვა მიმართულებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდობასთან მუშაობის და ჯანსაღი ცხოვრების მიმართლება. ასევე, ორგანიზებული დანაშაული ერთმნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასაც. ყველას შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ წარმატებულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ, თუ ამ გამოწვევას სათანადოდ ვერ ვუპასუხებთ. დღევანდელი საკანონმდებლო ჩარჩო შექმნილია 2005 წელს, თუმცა მას მერე ბევრი რამ შეიცვალა, სხვა ხარისხის გამოწვევებია — შეიცვალა ბევრი რამ ტექნოლოგიურ დონეზეც, სასამართლო სისტემის დონეზეც, ამიტომ ჩვენ დავდექით იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ეს კანონმდებლობა შესაცვლელი იყო. რა არის ამ ცვლილებების ძირითადი მიმართულება გარდა იმისა, რომ კონკრეტული დანაშაულებისთვის მკაცრდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?! ჩნდება ახალი ცნებები, როგორიც არის ქურდული სამყაროსადმი მიმართვა, ქურდული სამყაროს მხარდაჭერა, ქურდული სამყაროს წევრობა, ასევე, არის ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტი, რაც ნიშნავს ქურდული სამყაროს პასიურ წევრობას, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უნდა გახდეს ჩვენი სასამართლო და საგამოძიებო სისტემისთვის, — განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, კანონმდებლობაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ისიც, რომ თუ ქურდული სამყაროს წევრი გამოძიებასთან ითანამშრომლებს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის გახსნაში, ის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.

— ეს ცვლილებები არის ის აუცილებლობა, რომელიც საჭიროა ორგანიზებული დანაშაულის გამოწვევის საპასუხოდ. ჩვენი მიზანია წარმატებული ქვეყნის აშენება, რისთვისაც ორგანიზებული დანაშაული ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამარცხოთ, — დასძინა შს მინისტრმა.

# ნეტანიაჰუ ვარშავას ურთიერთობების გაწყვეტით დაემუქრა

## რა კანონი მიიღო პოლონეთის სენატმა



პოლონეთის სენატმა მხარი დაუჭირა კანონს, რომელიც ჰოლოკოსტში პოლონელთა დადანაშაულებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ამას გარდა, კანონში ნათქვამია, რომ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვოლინის ხოცვა-ჟლეტის უარყოფისა და ბანდერელთა იდეოლოგიის პროპაგანდისთვის.

– ესაა სკანდალური კანონი, რომელიც პოლონეთ-უკრაინის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს საფრთხეს უქმნის, – განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

პოლონური კანონი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც დაგმო. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ნოიერტმა აღნიშნა, რომ ჰოლოკოსტის თემა დღემდე მტკივნეულად რჩება. არსებობენ ისტორიკოსები, რომლებსაც გააჩნიათ ფაქტები ანტისემიტურ აქციებში პოლონელთა მონაწილეობის თაობაზე. შესაბამისად, ჭეშმარიტება კამათში უნდა დადგინდეს და არა – პოლიციური მეთოდებით დანერგვაში.

– ჩვენს პოლონელ კოლეგებს მოვუწოდებთ, რომ ამ კანონპროექტს გადახედონ, – თქვა ნოიერტმა.

პოლონელთა ნაწილი მართლაც მტკივნეულად რეაგირებს ისეთ თემებზე, როგორებიც არის ვოლინის ხოცვა-ჟლეტასა და ანტისემიტურ აქციებში პოლონელთა დადანაშაულება.

ამავე დროს, იგივე ვოლინის ხოცვა-ჟლეტა საინტერესო კითხვებს ბადებს. ამ ხოცვა-ჟლეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჰიტლერელი რაიხსკომისარი ერიჰ კოხი, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ვარშავაში გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. გაურკვეველი მიზეზების გამო განაჩენი სისრულეში მოყვანილი არ ყოფილა. ჰიტლერელი ჯალათი კოხიც ვარშავის ციხეში 1986 წელს გარდაიცვალა.

პოლონეთის კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ დადასტურდა, რომ კოხი კომფორტულ პირობებში იმყოფებოდა. საკანში მას ჰქონდა ტელევიზორი, რადიო, ჰყავდა პირადი ექიმი, იღებდა უცხოურ პრესას, აწვდიდნენ დეფიციტურ წამლებს, საჭმელ-სასმელიც რესტორნიდან მოჰქონდათ.

– როგორც ჩანს, კოხი როგორც გერმანელებზე, ასევე რუსებზეც მუშაობდა, ამიტომაც მასზე ესოდენი მზრუნველობა გამოიჩინეს, – წერს უკრაინული პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იაროსლავ სტეცკო.

ვოლინის ტრაგედიაში საკმაოდ ბევრი პოლონელის გვარი ფიგურირებს. ყველა მათგანი ორმაგი აგენტი იყო. ისინი მუშაობდნენ როგორც სუკზე, ასევე გესტაპოზე. ამათგან უნდა გამოვყოთ ცნობილი ჯაშუში, პოლონელი მატა ჰარიდ წოდებული ლიდია ლოსოვკაია (აგენტურული მეტსახელები კუკლა, ვესლოვსკა, ლიკი), აგრეთვე მარია მიკოტა (მაია და ჩვიდმეტი), იან კამინსკი (კანტორი), მეჩისლას სტეფანსკი (ლვოვსკი), მისი მეუღლე ჩესლავა (მურკა) და ა.შ.

ყველა მათგანი პოლონური იატაკქვეშა ორგანიზაციის „ბლესკის" წევრი იყო, რომელიც მუშაობდა როგორც სუკზე, ასევე გესტაპოზე. ამ ჯგუფის წვლილი უზარმაზარია იმაში, რომ ვოლინზე სისხლი დაიღვარა. ასევე უნდა მოვიხსენიოთ ის პოლონელი პოლიცაებიც, რომლებიც გერმანელთა სამსახურში იყვნენ და მონაწილეობდნენ როგორც უკრაინელების, ასევე ებრაელების გენოციდში.

ვოლინზე სუკის მიერ შექმნილი ფსევდობანდერელთა ორგანიზაციებიც მოქმედებდნენ. ისინი მოსახლეობას სასტიკად აწიოკებდნენ და არნახულ მხეცობას ჩადიოდნენ. ზოგიერთი მათგანი უკრაინელ ნაციონალისტთა უშიშროების სამსახურმა გამოავლინა და საკადრისად დასაჯა.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ პოლონელთა კანონს ამაზრზენი უწოდა. მან განაცხადა, რომ ისრაელი ამაზე სათანადო რეაგირებას მოახდენს. პრემიერმა არ გამორიცხა, რომ ისრაელმა შესაძლოა პოლონეთთან ურთიერთობები გაწყვიტოს.

თავად პოლონეთში აღნიშნულ კანონს თვით მმართველი პარტიის წევრებიც კი აკრიტიკებენ. ახლა ყველაფერი პრეზიდენტ დუდაზეა დამოკიდებული. გამოიყენებს თუ არა ის ვეტოს უფლებას?

უდავოა ერთი: ხსენებული კანონით პოლონეთს პრობლემები მოემატება.

# ტილერსონის მოადგილე გადადგა



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, რექს ტილერსონის, მოადგილე შენონი გადადგა.

თავისი გადაწყვეტილება მან პირადი მოსაზრებებით ახსნა.

– დადგა დრო, როცა ოჯახს უნდა მივხედო და ჩემი საქმეები წესრიგში მოვიყვანო! – თქვა შენონმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელები ვაშინგტონში ჩავიდნენ



წინა დღეებში აშშ-ს ესტუმრნენ რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფი ნარიშკინი, ფსბ-ს დირექტორი ბორტნიკოვი და გრუ-ს უფროსი კორობოვი. ისინი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ მაიკ პომპეოს შეხვდნენ.

ვიზიტი „კრემლის სიის" გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარდა.

თავად პომპეომ ბორტნიკოვთან და კორობოვთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა. მან განაცხადა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა:

– დიახ, რუსეთი ჩვენი მოწინააღმდეგეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან არ უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენ განვიხილეთ რიგი საკითხები, რომლებშიც რუსეთისა და აშშ-ის პოზიციები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ცსს-ის დირექტორის თქმით, მსგავს შეხვედრებს ადრეც ჰქონდა ადგილი.

– ეს ამერიკის მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი, – განაცხადა პომპეომ.

სამმართველოს ვეტერანები მომხდარის გამო გაოცებას არ მალავენ. სტივენ ჰილი, რომელიც 15 წლის განმავლობაში მოსკოვში ცსს-ის რეზიდენტურას ედგა სათავეში, ამბობს, რომ აღნიშნული ვიზიტები ფრიად დამაფიქრებელია.

– ჩემს პრაქტიკაში ასეთი რამ არ მახსოვს, – აცხადებს ჰილი.



# ლიტვაში რუსი ჯაშუშები დააკავეს

ლიტვის კონტრდაზვერვამ ქვეყნის 4 მოქალაქე დააკავა. მათ ბრალად ედებათ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ ხსენებული პირები რუსეთის დაზვერვას ამარაგებდნენ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციით.

ახლა ყველა მათგანი სასამართლოს წინაშე წარდგება.

# კიროვის ოლქის გუბერნატორ ბელიხს 8 წელი მიუსაჯეს



კიროვის ოლქის გუბერნატორ ნიკიტა ბელიხს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ბელიხს ბრალად ქრთამის აღება (600.000 ევროს ოდენობით) დასდეს.

პროკურორმა 15 წლით პატიმრობა მოითხოვა. სასამართლო 8 წელს დასჯერდა.

# „დონეცკის რესპუბლიკის" თავდაცვის მინისტრს თავს დაესხნენ



დონეცკში განხორციელდა თავდასხმა „დონეცკის რესპუბლიკის" თავდაცვის მინისტრ კონონოვზე.

კონონოვის კაბინეტს ცეცხლი ნაღმტყორცნებიდან გაუხსნეს. თავად კონონოვი არ დაზარალებულა. თავდამსხმელებმა მიმალვა შეძლეს.

არსებობს ინფორმაცია, რომ თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა კონონოვი შენობაში არ იმყოფებოდა.

უკრაინული სპეცსამსახურები ერთი კვირის წინ საზოგადოებას აფრთხილებდნენ, რომ დონბასში ახალი სისხლიანი პროვოკაციები იყო მოსალოდნელი. ექსპერტ ვალენტინ ბადრაკის აზრით, კონონოვზე თავდასხმა თავად სეპარატისტების მიერ დადგმული სპექტაკლია. მიზანი მინსკის შეთანხმებების დარღვევაში უკრაინის დადანაშაულებაა.

მართლაც, „დონეცკის რესპუბლიკის" მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა:

– ჩვენ მივმართავთ ეუთოსა და გაეროს, რათა უკრაინელ ფაშისტებს ლაგამი ამოსდონ. მივმართავთ მოძმე რუსეთს, რათა დაგვიცვას.

# საფრანგეთში 2 სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა — 5 ადამიანი დაიღუპა



საფრანგეთში, ვარის დეპარტამენტში, ორი სამხედრო გაზელის ტიპის ვერტმფრენის ჩამოვარდნას, სულ მცირე, 5 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მომხდარის გარემოებები ამ ეტაპზე უცნობია. კატასტროფის ადგილზე, კურორტ სენ-ტროპედან 50 კილომეტრში მდებარე კარსეს ტბაზე, მაშველების ჯგუფები ჩავიდნენ.

სულ ვერტმფრენებში 6 ადამიანი იმყოფებოდა. 5 მათგანის ცხედარი უკვე ნაპოვნია.

გაზელის ტიპის ვერტმფრენებს საფრანგეთი მალიში ანტიტერორისტული ოპერაციების დროს იყენებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მე-18 საუკუნის კოშკი ნაგვით არის სავსე



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ქეთი დიღმელაშვილი მე-18 საუკუნის კოშკის სანაგვედ ქცევას აპროტესტებს:

– ქართველებს კარგად გვჩვევია დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება და პასუხისმგებლობის თავიდან არიდება. ეს ჩემი საქმე არაა, ეს მე არ მეხება, ეს მისი გასაკეთებელია... ამ ფრაზების მუდმივი ტრიალით ბრალმდებლობაში ბადალი არ გვყავს. მაგრამ ყველაზე მაგრები მაინც სახელმწიფოსთვის დანაშაულის აკიდებაში ვართ და ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენ ამ სახელმწიფოს ნაწილი ვართ და ჩვენი მოქალაქეობრივი ვალდებულება პილატესავით ხელის დაბანით არ ჩამოირეცხება!

ამ მხრივ ჩვენი განათლების დონე ლამის არ განვითარებულა და საწყის ეტაპზე გაიყინა. ანდა როგორ უნდა განვითარდეს, თუ მომავალ თაობას იმან ვერ ასწავლა, ვისაც ეს ევალება. არადა, ვისაც ევალება, იმან რა უნდა ასწავლოს, თუ თვითონაც არ აქვს შეგნებული ეს მოქალაქეობრივი ვალდებულება?!

მომიტევეთ პედაგოგებო ჩემი პირდაპირობისა და სიუხეშისთვის, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ამისკენ მიბიძგა. ის, რაც რამდენიმე დღის წინ ვნახე, თქვენც არ დაგიტოვებთ ჩემი „აშარად“ მიჩნევის განცდას:

ეს მე-18 საუკუნის კოშკი ერთ-ერთი სკოლის ეზოში, სკოლის შენობიდან 5 მეტრში დგას. და მერე? სავსეა ნაგვით, ფიჩხით, შეშითა და თუნუქის ნარჩენით. თავისი დანაგვიანებისა და დაბინძურების ხარისხით მიტოვებულ ძეგლს არათუ არ ჩამოუვარდება, შეიძლება გადააჭარბოს კიდეც.

მითხარით, ამის შემხედვარემ, როგორ გითხრათ, კარგები ხართ და აფერუმ თქვენს მონდომებას-მეთქი... როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვებს, რას გაუფრთხილდნენ, რას სცენ პატივი, რითი იამაყონ და რა დააფასონ, თუ თქვენ ვერ გაგიგიათ იგივე? თუ თქვენ არ გაქვთ შეგნებული ეს ყველაფერი?! როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვებს თავისი „გორი არ დაივიწყონ“, როცა თავად არ გახსოვთ ან არც შეგიგრძნიათ თქვენი „გორი“?!

დღეს პედაგოგები ამ აბსურდული კრედიტების დაგროვებას ათასნაირი გამონაგონი აქტივობით ცდილობთ და კუთხიდან კუთხეში დაატარებთ ბავშვებს. რა შედეგი უნდა მოყვეს ამას თუ მათ ჯერ „შინაურის“ სიყვარული არ ასწავლეთ?! საკუთარის აღიარებით და დაფასებით უნდა შეაგრძნობინოთ სხვისი ღირსებაც. ეს კოშკი ამას სრულებით არ მიმტკიცებს. მითხარით, როგორ დაგიჯეროთ თუ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს?!

# არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტი რუსთაველის ფონდის წინააღმდეგ



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლია ქაროსანიძე რუსთაველის ფონდს უპირისპირდება და მათი ინსტიტუტის მიერ წარდგენილი პროექტების დაწუნების მიზეზების განმარტებას ითხოვს:

– ქალბატონი ნათელა მუზაშვილი შემოვიდა ჩემს ოთახში და მე და ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი ანა ხურცილავა მუშაობაში ჩართული რომ გვნახა, გულმოკლულმა მითხრა, გთხოვ, ანა ადრე გაუშვიო. ანა ნახევარ შტატშია და 200 ლარს იღებს. მუშაობს ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე, მისი აქტიურობით დაარსდა ტერმინოლოგიის საზოგადოება, რომელიც ევროპის საზოგადოებას შეუერთდა, გვერდით გვიდგას ტერმინოლოგიის კონფერენციის საორგანიზაციო საქმეებში, ორ წელიწადში ერთხელ გვაკეთებინებს ჟურნალს „ტერმინოლოგიის საკითხები“, შარშან მარტომ გააკეთა მთელი კრებულის საძიებელი, უთქმელად ესმის ჩვენი და, რაც მთავარია, ჩვენი მუშაობის არსი, ტერმინოლოგიის სკოლას ენთუზიაზმით აგრძელებს.

სკოლას, რომელსაც დიდმა მეცნიერებმა ჩაუყარეს საფუძველი. ვუკოლ ბერიძის საქმე როგნედა ღამბაშიძემ ჩაიბარა, როგნედა ღამბაშიძისა, ინგა ჯიბუტმა და ასე მოვიდა ჩვენამდე, უნიკალური ჩანაწერებით, მასალებით, 100-ზე მეტი დარგობრივი ლექსიკონით, რომლებიც ჯერ კიდევ 90-იანებში თუ არა, საუკუნის დასაწყისში ხომ მაინც უნდა გაციფრებულიყო! ჩვენ კი ახლა დავიწყეთ, ისიც ისევ ენთუზიასტების დახმარებით...

კითხვა მაქვს რუსთაველის ფონდთან, როგორი პროექტი უნდა დაგვეწერა, რა უნდა გაგვეკეთებინა და ვერ გავაკეთეთ, ეს საქმე რომ ასეთ დღეში არ იყოს? რუსთაველის ფონდის ყველა პასუხისმგებელ პირს მოეთხოვება პასუხი კითხვაზე, რატომ არასოდეს არ დაფინანსდა საქართველოში ერთადერთი ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ წარმოდგენილი 8 პროექტიდან არც ერთი, რომლებშიც მხოლოდ ტერმინოლოგიური სამუშაოს გაგრძელებას ვითხოვდით, ალბათ ვერ წერთო, თუ იფიქრებთ, გიპასუხებთ, ხან ნახევარი ქულა დაგვაკლდა, ხანაც ერთი.

აქვს თუ არა გაცნობიერებული რუსთაველის ფონდის პასუხისმგებელ პირებს ტერმინოლოგიური სამუშაოების არსი, კერძოდ ის, თუ როგორ ღუპავს ქართული ენის მომავალს ტერმინოლოგიური სიჭრელე, რასაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ერთსა და იმავე დარგში ორი და სამი ლექსიკონის არსებობა?

როცა რუსთაველის ფონდმა თავის თავზე აიღო მეცნიერების განვითარება საქართველოში, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვაზე, რა ხდება ტერმინოლოგიაში?

ჩვენ ვატარებთ საერთაშორისო კონფერენციას, უკვე მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა და ამას მხოლოდ ანას მსგავსი ადამიანების გვერდით დგომით ვბედავთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ტონგელმა სპორტსმენმა ზაფხულიდან ზამთარში გადაინაცვლა

გაგიკვირდებათ და ტონგელი პიტა ტაუფატოფუა მონაწილეობას პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს. წყნარი ოკეანის წარმომადგენელმა თხილამურებით რბენაში საკვალიფიკაციო ნორმატივი შეასრულა.

საინტერესოა, რომ ტონგას წარმომადგენელმა შარშანწინ რიოს ზაფხულის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზეც მიიპყრო ყურადღება, როდესაც ქვეყნის მედროშედ ქოქოსის ზეთწასმული შიშველი ტორსით წარდგა.

„მარაკანას“ სტადიონზე ეფექტური გამოსვლა ტონგელისთვის ერთადერთი დადებითი ოლიმპიური მოგონება აღმოჩნდა – იქ პიტა ტაეკვონდოში ასპარეზობდა და შეჯიბრებას პირველივე წრიდან გამოეთიშა, მაგრამ საყოველთაო ყურადღებით მოხიბლულმა ტონგელმა უმალ შემდეგ ოლიმპიადაზე დაიწყო ფიქრი. მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მომავალი ოლიმპიადა ზამთრისა იქნებოდა თუ ზაფხულის. მისთვის მთავარი იქ მოხვედრა იყო.

ტაუფატოფუა მიზნის მისაღწევად სპორტის ზამთრის სახეობებს გაეცნო, არჩევანი კი თხილამურებით რბენაზე შეაჩერა.

**პიტა ტაუფატოფუა:**

– ყველაზე რთული სახეობის მოძებნა მინდოდა. თურმე შესაძლებელია, რომ ერთ წელიწადში მოემზადო იმისთვის, რაც თავიდან შეუძლებლად გეჩვენება. სხვადასხვა შეჯიბრებას ვუყურებდი, მაგრამ სწორედ მოთხილამურეები არიან ისინი, ვინც ყოველი რბოლის შემდეგ ძალაგამოცლილები ეცემიან. მიზნისკენ შეუპოვრად გარბიან, მაგრამ, როგორც კი ფინიშის ხაზს გადაკვეთენ, უმალ თოვლზე ეცემიან და სულის მოთქმას ცდილობენ. ჩემზე შთაბეჭდილება სწორედ ამან მოახდინა.



საინტერესო პერსპექტივას მხოლოდ მკაცრი რეალობა აფუჭებდა: 2016 წლის დეკემბრამდე ტონგელი მოხალისე არათუ თხილამურებზე მდგარა ოდესმე, არამედ თოვლიც არასოდეს ენახა. ამიტომ თავიდან იძულებული იყო, გორგოლაჭიანი თხილამურებით ევარჯიშა. შესარჩევ ტურნირებზე შემოწირულობების დახმარებით დადიოდა, რამდენიმე მცდელობის შემდეგ კი სასწაული მოხდა და პიონჩანგის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია აიღო.

– 7 მცდელობა მქონდა. ყოველ ჯერზე წარუმატებლად გამოვდიოდი. მიზნის მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებდი, მაგრამ არ გამომდიოდა. როცა საქმე ბოლო რბოლაზე მიდგა, მას ისე შევხედე, როგორც სამყაროს აღსასრულს. ვიფიქრე, რომ მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა გამეკეთებინა და გავაკეთე კიდეც. ამჯერად ფინანსური პრობლემები მაქვს, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ.

ტაუფატოფუა ზამთრის ოლიმპიადაზე ტონგას მეორე წარმომადგენელი იქნება. 4 წლის წინ სოჭის თამაშებზე მოციგავეთა ასპარეზობებში ბრუნო ბანანის სახელით მიიღო მონაწილეობა ფუაჰეა სემიმ, რომელმაც 39 მონაწილეს შორის 32-ე ადგილი დაიკავა.


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს.

● ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

# უქმეებს ევროპა „ახალი სისხლით“ შეხვდება

## სტატისტიკა, ფსონები

ლივერპული-ტოტენჰემი, ატლეტიკო-ვალენსია, მონაკო-ლიონი – ეს ის მატჩებია, რომლებიც ამ ტურში ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს. თუმცა, არც სხვა შეხვედრები დასწყვეტს გულს ფეხბურთის გულშემატკივრებს. ამასთან, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის შემდეგ პირველი ტურია, გუნდები „ახალი სისხლით" შეივსო. ვნახოთ, ვინ როგორი მოერგება ახალ გუნდს.



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.02 | ბარნლი-სიტი | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 03.02 | მანჩესტერი-ჰადერსფილდი | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 03.02 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.5 | 3.1 |
| 03.02 | ბორნმუთი-სტოკი | 1.91 | 3.6 | 3.8 |
| 03.02 | ლესტერი-სუონსი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 03.02 | ბრაიტონი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.0 | 3.4 |
| 03.02 | არსენალი-ევერტონი | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 04.02 | კრ.პალასი-ნიუკასლი | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 04.02 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.05 | 3.6 | 3.5 |
| 05.02 | უოტფორდი-ჩელსი | 6.0 | 4.0 | 1.57 |

**ბარნლი-სიტი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, კრის ვუდი, სტეფენ ვარდი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

სიტი: ***ტრავმ***-გაბრიელ ჟესუსი, ფილ ფოდენი, ბენჯამინ მენდი

**მანჩესტერი-ჰადერსფილდი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-დელი ბლინდი, ერიკ ბეილი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-დანიელ უილიამსი, ელიას კაჩუნგა

**ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კირონ გიბსი, ჯეკ ლივერმორი, ჯონი ავანსი, ჰალ რობსონ-კანუ, სემ ფილდი, ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-რაიან ბერტანდი, ჩარლი ოსტინი

**ბორნმუთი-სტოკი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯერმეინ დეფო, ტაირონ მინგსი

სტოკი: ***ტრავმ***-არავინ

**ლესტერი-სუონსი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ვეს მორგანი

სუონსი: ***ტრავმ***-რენატო სანჩესი

**ბრაიტონი-ვესტ ჰემი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ისაია ბრაუნი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-პედრო ობიანგი, მარკო არნაუტოვიჩი, მანუელ ლანძინი, მაიკლ ანტონიო, ენდი კეროლი, უინსტონ რეიდი, დიაფრა სახო, ედმილსონ ფერნანდესი, ხოსე ფონტე

**არსენალი-ევერტონი**

არსენალი: ***ტრავმ***-დანი უელბეკი

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**კრ.პალასი-ნიუკასლი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-იოან კაბაიე, სკოტ დანი, ჯეფ შლუპი, მამადუ სახო

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჟესუს გომესი

**ლივერპული-ტოტენჰემი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯეიმს მილნერი, რაგნარ კლავანი, ადამ ლალანა

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-სერჟ ორიე, დენი როუზი, ჰარი ვინკსი

**უოტფორდი-ჩელსი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-კიკო ფემენია, მიგელ ბრიტოსი, ნათან ჩალობა

ჩელსი: ***ტრავმ***-ვილიანი, ტიბო კურტუა, ალვარო მორატა, სესკ ფაბრეგასი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 25 | 22 | 2 | 1 | 73-18 | 68 |
| 2.მანჩესტერი | 25 | 16 | 5 | 4 | 49-18 | 53 |
| 3.ლივერპული | 25 | 14 | 8 | 3 | 57-29 | 50 |
| 4.ჩელსი | 25 | 15 | 5 | 5 | 45-19 | 50 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 14 | 6 | 5 | 49-22 | 48 |
| 6.არსენალი | 25 | 12 | 6 | 7 | 46-34 | 42 |
| 7.ბარნლი | 25 | 9 | 8 | 8 | 20-22 | 35 |
| 8.ლესტერი | 25 | 9 | 7 | 9 | 37-34 | 34 |
| 9.ევერტონი | 25 | 8 | 7 | 10 | 28-40 | 31 |
| 10.ბორნმუთი | 25 | 7 | 7 | 11 | 28-36 | 28 |
| 11.უოტფორდი | 25 | 7 | 6 | 12 | 33-44 | 27 |
| 12.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 9 | 10 | 31-43 | 27 |
| 13.კრ.პალასი | 25 | 6 | 8 | 11 | 23-38 | 26 |
| 14.ნიუკასლი | 25 | 6 | 6 | 13 | 23-35 | 24 |
| 15.ბრაიტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 18-34 | 24 |
| 16.სტოკი | 25 | 6 | 6 | 13 | 25-50 | 24 |
| 17.ჰადერსფილდი | 25 | 6 | 6 | 13 | 19-44 | 24 |
| 18.საუთჰემპტონი | 25 | 4 | 11 | 10 | 25-36 | 23 |
| 19.სუონსი | 25 | 6 | 5 | 14 | 18-36 | 23 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 3 | 11 | 11 | 19-34 | 20 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.02 | ეიბარი-სევილია | 2.62 | 3.4 | 2.62 |
| 03.02 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 03.02 | ალავესი-სელტა | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 03.02 | ლევანტე-რეალი | 13.0 | 6.5 | 1.2 |
| 04.02 | ხეტაფე-ლეგანესი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 04.02 | ესპანიოლი-ბარსელონა | 12.0 | 5.5 | 1.28 |
| 04.02 | ხირონა-ბილბაო | 2.5 | 3.25 | 2.8 |
| 04.02 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 05.02 | ლას პალმასი-მალაგა | 2.25 | 3.4 | 3.1 |

**ეიბარი-სევილია**

ეიბარი: ***ტრავმ***-სერგი ენრიჩი, პაულო ოლივეირა

სევილია: ***ტრავმ***-სებასტიან ყორშია, სიმონ კიაერი, დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

**ბეტისი-ვილიარეალი**

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რუბენ სემედო

**ალავესი-სელტა**

ალავესი: ***ტრავმ***-დანი ტორესი, მანუ გარსია, ბურგუი, ეჰტორი

სელტა: ***ტრავმ***-

**ლევანტე-რეალი**

ლევანტე: ***ტრავმ***-რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, ხესუს ვალიეხო

**ხეტაფე-ლეგანესი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-დამიან სუარესი

ლეგანესი: ***ტრავმ***-დიმიტრიოვას სიოვასი, მაურო, ალექსანდერ შიმანოსვკი

**ესპანიოლი-ბარსელონა**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო პიატი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ანდრე გომესი, ტომას ვერმალენი, ოსმან დემბელე

**ხირონა-ბილბაო**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ბილბაო: ***ტრავმ***-კეპა არიზაბალაგა, იკერ მუნიანი

**ატლეტიკო-ვალენსია**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფელიპე ლუისი

ვალენსია: ***ტრავმ***-გაბრიელ პაულისტა

**ლას პალმასი-მალაგა**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მომო ფიგეროა, პედრო ბიგასი, მიჩელი

მალაგა: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა, დიეგო როლანი, ხუანკარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 18 | 3 | 0 | 59-10 | 57 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 13 | 7 | 1 | 32-9 | 46 |
| 3.ვალენსია | 21 | 12 | 4 | 5 | 42-25 | 40 |
| 4.რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 43-19 | 38 |
| 5.ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.სევილია | 21 | 10 | 3 | 8 | 27-29 | 33 |
| 8.სელტა | 21 | 9 | 4 | 8 | 38-30 | 31 |
| 8.ეიბარი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-33 | 29 |
| 9.ხეტაფე | 21 | 7 | 7 | 7 | 26-21 | 28 |
| 10.ხირონა | 21 | 7 | 7 | 7 | 29-29 | 28 |
| 11.ლეგანესი | 20 | 8 | 4 | 8 | 20-21 | 28 |
| 12.ბილბაო | 21 | 6 | 9 | 6 | 24-23 | 27 |
| 13.ბეტისი | 21 | 8 | 3 | 10 | 35-44 | 27 |
| 14.ესპანიოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 18-28 | 24 |
| 15.სოსიედადი | 21 | 6 | 5 | 10 | 36-40 | 23 |
| 16.ლევანტე | 21 | 3 | 10 | 8 | 18-30 | 19 |
| 17.ალავესი | 21 | 6 | 1 | 14 | 17-31 | 19 |
| 18.დეპორტივო | 21 | 4 | 5 | 12 | 24-46 | 17 |
| 19.ლას პალმასი | 21 | 4 | 2 | 15 | 16-50 | 14 |
| 20.მალაგა | 21 | 3 | 4 | 14 | 14-34 | 13 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.02 | მაინცი-ბაიერნი | 9.0 | 5.5 | 1.3 |
| 03.02 | ჰერტა-ჰოფენჰაიმი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 03.02 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4.0 | 3.75 | 1.85 |
| 03.02 | შალკე-ვერდერი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 03.02 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 03.02 | გლადბახი-ლაიპციგი | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 04.02 | აუგსბურგი-აინტრახტი | 2.37 | 3.2 | 3.1 |
| 04.01 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.3 | 3.3 | 3.1 |

**მაინცი-ბაიერნი**

მაინცი: ***ტრავმ***-კარიმ ონისივო, რენე ადლერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-მატს ჰუმელსი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

**ჰერტა-ჰოფენჰაიმი**

ჰერტა: ***ტრავმ***-მაქსიმილიან მიტელშტადი, მიჩელ ვეიზერი, რუნ იარშტეინი, კარიმ რეკიკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფელიქს პასლაკი

**ფრაიბურგი-ლევერკუზენი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იორიკ რავე, ონურ ბულუტი, ნიკოლას ჰოფლერი, მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხნერი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

**შალკე-ვერდერი**

შალკე: ***ტრავმ***-ვესტონ მაკკეინი

ვერდერი: ***ტრავმ***-ლამინე სანე, ფინ ბარტელსი

**ვოლფსბურგი-შტუტგარტი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფელიქს უდოკაი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბალიჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი, მატიას ციმერმანი, ებენეზერ ოფორი

**გლადბახი-ლაიპციგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-რაულ ბობადილა, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმ ტრაორე, ლასლო ბენეში

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ემილ ფორსბერგი, მარსელ ჰალშტენბერი

**აუგსბურგი-აინტრახტი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი, ჯონათან დე გუზმანი

**ჰამბურგი-ჰანოვერი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სებასტიენ მაიერი, ჯონატასი, ფელიპე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 16 | 2 | 2 | 49-16 | 50 |
| 2.ლევერკუზენი | 20 | 9 | 7 | 4 | 41-27 | 34 |
| 3.შალკე | 20 | 9 | 7 | 4 | 32-25 | 34 |
| 4.აინტრახტი | 20 | 9 | 6 | 5 | 26-20 | 33 |
| 5.ლაიპციგი | 20 | 9 | 5 | 6 | 32-29 | 32 |
| 6.დორტმუნდი | 20 | 8 | 7 | 5 | 42-27 | 31 |
| 7.გლადბახი | 20 | 9 | 4 | 7 | 30-32 | 31 |
| 8.აუგსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 29-26 | 28 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 6 | 7 | 31-32 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 20 | 7 | 6 | 7 | 28-30 | 27 |
| 11.ჰერტა | 20 | 6 | 8 | 6 | 27-27 | 26 |
| 12.ფრაიბურგი | 20 | 5 | 9 | 6 | 22-35 | 24 |
| 13.ვოლფსბურგი | 20 | 4 | 11 | 5 | 23-24 | 23 |
| 14.შტუტგარტი | 20 | 6 | 2 | 12 | 16-26 | 20 |
| 15.მაინცი | 20 | 5 | 5 | 10 | 24-35 | 20 |
| 16.ვერდერი | 20 | 3 | 8 | 9 | 16-25 | 17 |
| 17.ჰამბურგი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-29 | 16 |
| 18.კიოლნი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-34 | 13 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.02 | სამპდორია-ტორინო | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 03.02 | ინტერი-კროტონე | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 04.02 | ვერონა-რომა | 6.5 | 4.6 | 1.44 |
| 04.02 | კალიარი-სპალი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 04.02 | ატალანტა-კიევო | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 04.02 | უდინეზე-მილანი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 04.02 | იუვენტუსი-სასუოლო | 1.25 | 5.5 | 12.0 |
| 04.02 | ბოლონია-ფიორენტინა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 04.02 | ბენევენტო-ნაპოლი | 13.0 | 6.5 | 1.2 |
| 05.02 | ლაციო-ჯენოა | 1.5 | 4.2 | 6.5 |

**სამპდორია-ტორინო**

სამპდორია: ***ტრავმ***-დენის პრაეტი, ფაბიო კვალიარელა, ლუკას ტორეირა, ივან სტრინიჩი, გასტონ რამირესი

ტორინო: ***ტრავმ***-სიმონე ედერა

**ინტერი-კროტონე**

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი

კროტონე: ***ტრავმ***-ადრაინ სტოიანი, არისტოტელეს რომერო, ალექსანდარ ტონევი, მარკო ტუმინელო

**ვერონა-რომა**

ვერონა: ***ტრავმ***-მოის კინი, ჯანპაოლო პაცინი, რომულო, დანიელ ბესა, ალესიო ჩერჩი

რომა: ***ტრავმ***-მაქსიმ გონალონსი, ფედერიკო ფაციო, დანიელე დე როსი, რაჯა ნაონგოლანი

**კალიარი-სპალი**

კალიარი: ***ტრავმ***-გრეგორი ვან დერ ვილი, ლუკა ჩეპიტელი

სპალი: ***ტრავმ***-ეროს სკიავონი, ფელიპე, ფრანჩესკო ვიკარი, მარკო ბორიელო

**ატალანტა-კიევო**

ატალანტა: ***ტრავმ***-ლეონარდო სპინაზოლა, ალესანდრო ბასტონი

კიევო: ***ტრავმ***-რობერტო ინლესე, ნენად ტომოვიჩი, ლუკას კასტრო

**უდინეზე-მილანი**

უდინეზე: ***ტრავმ***-სილვან ვიდმერი, დანილო, ანტონინ ბარაკი, ალი ადნანი

მილანი: ***ტრავმ***-ნიკოლა კალინიჩი, ფრანკ კესიე, ხოსე მაური, ანდრეა კონტი

**იუვენტუსი-სასუოლო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, ფედერიკო ბერნანდესკი, პაულო დიბალა, ხუან კუადრადო, ბენედიკტ ჰოივედესი

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ჯანლუკა სკამაცა

**ბოლონია-ფიორენტინა**

ბოლონია: ***ტრავმ***-ანჯელო და კოსტა, ჯანკარლო გონსალესი, ანტონიო მირანტე, როდრიგო პალასიო, ფილიპ ჰელანდერი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-სიმონე ლო ფასო, ჯერმან პეზელა, ფედერიკო კიეზა, მილან ბადელი

**ბენევენტო-ნაპოლი**

ბენევენტო: ***ტრავმ***-ჯორჯ პუსჩასი, სამუელ არმენტეროსი, მამადუ კანუ, ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ჟორჟინიო, არკადიუშ მილიკი

**ლაციო-ჯენოა**

ლაციო: ***ტრავმ***-ლუის ფელიპე, ჩირო იმობილე, სენად ლულიჩი, სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი, ლუკას ლეივა

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლას სპოლი, სანტიაგო ჯენტილეტი, ალესანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო, ლუკა როზეტინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 22 | 18 | 3 | 1 | 48-14 | 57 |
| 2.იუვენტუსი | 22 | 18 | 2 | 2 | 52-15 | 56 |
| 3.ლაციო | 22 | 14 | 4 | 4 | 57-27 | 46 |
| 4.ინტერი | 22 | 12 | 8 | 2 | 37-17 | 44 |
| 5.რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 32-17 | 41 |
| 6.სამპდორია | 22 | 11 | 4 | 7 | 41-31 | 37 |
| 7.მილანი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-29 | 34 |
| 8.ატალანტა | 22 | 9 | 6 | 7 | 34-27 | 33 |
| 9.უდინეზე | 22 | 10 | 2 | 10 | 35-31 | 32 |
| 10.ტორინო | 22 | 7 | 11 | 4 | 32-28 | 32 |
| 11.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 31-28 | 28 |
| 12.ბოლონია | 22 | 8 | 3 | 11 | 27-33 | 27 |
| 13.კიევო | 22 | 5 | 7 | 10 | 21-39 | 22 |
| 14.სასუოლო | 22 | 6 | 4 | 12 | 14-34 | 22 |
| 15.ჯენოა | 22 | 5 | 6 | 11 | 16-24 | 21 |
| 16.კალიარი | 22 | 6 | 3 | 13 | 20-34 | 21 |
| 17.კროტონე | 22 | 5 | 4 | 13 | 17-39 | 19 |
| 18.სპალი | 22 | 3 | 8 | 11 | 23-40 | 17 |
| 19.ვერონა | 22 | 4 | 4 | 14 | 22-45 | 16 |
| 20.ბენევენტო | 22 | 2 | 1 | 19 | 13-49 | 7 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.02 | ლილი-პსჟ | 17.0 | 6.5 | 1.18 |
| 03.02 | სტრასბური-ბორდო | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 03.02 | მონპელიე-ანჟე | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 03.02 | ტრუა-დიჟონი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 03.02 | ნიცა-ტულუზა | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 03.02 | ამიენი-სტ.ეტიენი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 04.02 | რენი-გენგამი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 04.02 | კაენი-ნანტი | 2.75 | 3.0 | 2.75 |
| 04.02 | მონაკო-ლიონი | 2.3 | 3.75 | 2.8 |

**ლილი-პსჟ**

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარუ, კევინ მალკო

პსჟ: ***ტრავმ***-კილიან მბაპე, ტიაგო მოტა

**სტრასბური-ბორდო**

სტრასბური: ***ტრავმ***-ალექსანდერ ოკიჯა, ბენჯამინ კორნე

ბორდო: ***ტრავმ***-იგორ ლევჩუკი, ჯერემი ტულანანი, ალექსანდერ მენდი

**მონპელიე-ანჟე**

მონპელიე: ***ტრავმ***-კევინ ბერიგო

ანჟე: ***ტრავმ***-მეჰდი ტარატი, სალიუ კისი

**ტრუა-დიჟონი**

ტრუა: ***ტრავმ***-ჰუნ იუნ სუკი, კრისტოფ ჰერელე, ტრისტან დინომე

დიჟონი: ***ტრავმ***-რომან ამალფიტანო, ადამ ლანგი, ვესლი ლაუტოა

**ნიცა-ტულუზა**

ნიცა: ***ტრავმ***-მარლონი, ალან სენტ-მაქსიმი, კრისტოფერ ჟალე, მაქსიმ ლე მანშარდი, რემი ვალტერი, ვინსენტ კოსიელო, არნო ლუსამბა

ტულუზა: ***ტრავმ***-ფრანსუა მუბანჯე

**ამიენი-სტ.ეტიენი**

ამიენი: ***ტრავმ***-დანილო აველარი, კვენტინ კორნე, გუსუმა ფოფანა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-პიერ გაბრიელი, ლიოს დიონი, ვინსენტ პაიო

**რენი-გენგამი**

რენი: ***ტრავმ***-ედუარდ ლეა სილიკი

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონათან მარტინს პერეირა, აბდულ კამარა

**კაენი-ნანტი**

კაენი: ***ტრავმ***-ადამა მბენგე

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

**მონაკო-ლიონი**

მონაკო: ***ტრავმ***-ადამა ტრაორე, ადამა დიახაბი, გვიდო კარილო, ტერენს მომგოლო

ლიონი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 19 | 2 | 2 | 72-17 | 59 |
| 2.ლიონი | 23 | 14 | 6 | 3 | 52-25 | 48 |
| 3.მარსელი | 23 | 14 | 6 | 3 | 47-24 | 48 |
| 4.მონაკო | 23 | 14 | 5 | 4 | 53-24 | 47 |
| 5.ნანტი | 23 | 11 | 4 | 8 | 22-21 | 37 |
| 6.ნიცა | 23 | 10 | 4 | 9 | 29-33 | 34 |
| 7.მონპელიე | 23 | 7 | 10 | 6 | 20-19 | 31 |
| 8.რენი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-32 | 31 |
| 9.ბორდო | 23 | 8 | 5 | 10 | 27-32 | 29 |
| 10.გენგამი | 23 | 8 | 5 | 10 | 24-32 | 29 |
| 11.დიჟონი | 23 | 8 | 4 | 11 | 33-46 | 28 |
| 12.სტრასბური | 23 | 7 | 6 | 10 | 28-39 | 27 |
| 13.კაენი | 23 | 8 | 3 | 12 | 15-26 | 27 |
